№ 2812
ხუთშაბათი,
5 მაისი

ცნობის ფურცელი

№ 2812
ხუთშაბათი,
5 მაისი

ხელის მოწერა: წელიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტი“. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის ქუჩა, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღ ამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 37.

ყოველ-დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვით 5 მან. 75 კაპ. 10 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მ., 8 თვით 4 მ. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მ. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის“ კანტორა უმორჩილესად სთხოვთ მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მიუწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებათ გამოგზავნოს.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს **3 კაპ. სურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

კნეინა ანასტასია ელიზბარის ასული შერვაშიძისა, ქ-ნი სალომე ელიზბარის ასული ტერიევისა, კნეინა **ნინო ელიზბარის ასული ფავლენიშვილისა**, ქ-ნი ალექსანდრა ელიზბარის ასული **ანდრონიკაშვილისა**, კნეინა **ტერეზია შერვაშიძისა** შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი თავის საყვარელ ძმისა, მეორე—მაზლისა და მესამენი—ბიძისა

თავადი მიხეილ ელიზბარის ძის შერვაშიძისა

და სთხოვენ დაესწრონ მის დაკრძალვას, რომელიც მოხდება სოფ. სასირეთს, შაბათს 7 მაისს დილის 10 საათზე საგვარეულო ეკკლესიაში. (2—203—1)

ანნა მიხეილის ასული **დიასამიძისა** და ექიმი **ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე დიასამიძე** დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ სოფ. სასირეთში მაისის 3-სა ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის საყვარელი მამა და მეორესი—სიმამრი

თავადი მიხეილ ელიზბარის ძე შერვაშიძე.

მიცვალებულის დაკრძალვა იქმნება შაბათს, 7 მაისს დილის 10 საათზედ სოფ. სასირეთს საგვარეულო ეკლესიაში. (2—203—1)

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი
მოსდის ყოველ-კვირა
ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის
შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.
ნიკოლოზის ხიდი, №№ 25—30.
ვურჩევთ
ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.
შეუვაჭრებლად. (0—16)

სახაზინო თეატრი კვირას, 8 მაისს

ვ. ს. ალექსი-მესხიშვილი ქართველ არტისტების მონაწილეობით გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება **პირველად ახალი პიესა**

I
კაცობრიობის კეთილის-მყოფი
პიესა 3 მოქმედებად ფილიპპისა, თარგ. ვ. გუნიასი.

II
არც აქეთ, არც იქით
ვოდევილი 1 მოქმედებად ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი **ტასო აბაშიძე, დავითაშვილი, ჯავახიშვილი, ნ. საფაროვა**; ბ-ნნი **ვ. აბაშიძე, ალექსი-მესხიშვილი, გუნია, შათირიშვილი, შალიკაშვილი, ივანიძე, იმედაშვილი, გვარაძე, იორდანიშვილი** და სხვა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზე.

იყიდება
ძლიერ იაფად: რკინის კრაოტები, სტოლები, ბუფეტის და ტანისამოსის შკაფები, შკაფი საქირურგო იარაღისათვის, სკამები, სკამები ვენის, მატრასები, ლეიბები მატყლის, ბალიშები, სავარძელი კბილის საექიმო და ავადმყოფის სატარებელი, საათი, ლამპები, საცვლები, ხალათები, ფეჩი თუჯისა ქვა-ნახშირისათვის, სარკე, ტანისამოსის ჩამოსაკიდებელი, მიკროსკოპი, სტერილიზატორი, სხვა და სხვა საქირურგო იარაღები, ტახტები, ელექტრონის მაშინები და მრავალი სხვა ოჯახისთვის სასარგებლო ავეჯეულობა. ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, მეცხრე სახლი კუკიის ხიდიდან.

ქირავდება ძლიერ შეღავათიან ფასებში
ორი კარგი სადგომი
თითო სადგომი შეიცავს ექვს ოთახს თავისი მოწყობილობით. ველიკოკნიაჟესკის ქუჩა. მეცხრე სახლი კუკიის ხიდიდან. (5—1)

იმერეთის სამღვდელოების
სანთლის საწყობი

ამით აცხადებს, რომ საჭიროა გამგე ამ საწყობისა. გამგედ უნდა იყოს უმრევლო მღვდელი, რომელსაც დაევალება: 1) საწყობში მზა-მზარეულ სანთლის მიღება და გაყიდვა, 2) წარმოება სანთლის საწყობთან არსებულ საეკკლესიო ნივთების საწყობისაც, თუ ის უკანასკნელი არ გადავიდა კერძო მოიჯარადრის ხელში, 3) ვაჭრობის წარმოება სხვა სავაჭრო დაწესებულებათა შემსგავსებით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის უნდა ვაჭრობდეს კვირაუქმეებშიაც, დილით, რვა საათიდან თორმეტამდის, 4) სამსახური ამ სამწყსოში არა ნაკლებ ორი წლისა და 5) წარმოდგენა არა ნაკლებ ორი ათას მანეთად ღირებულ გირაოსი.

გამგეს მიეცემა წელიწადში შვიდასი (700) მანეთი და საეკკლესიო ნივთთა საწყობის წმიდა მოგებიდან ათი პროცენტი (10%). მსურველთ შეუძლიათ მიმართონ თხოვნით ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზს. (10—6კ.—1).

დ. ყვირილა

15 მაისს, შუადღის 12 საათზე, თეატრის შენობაში დანიშნულია **ყვირილის სამარხ კასის წევრთა საზოგადო კრება.** განსახილველია 1) დამტკიცება წლიური ანგარიშისა; 2) მოხსენებანი გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა; 3) არჩევნები სარევიზიო კომისიისა, ერთის გამგეობის წევრისა და მათის ნაცვლებისა. (3—6.—2)

საარტისტ. საზოგადოების საკონცერტო დარბაზში

8 მაისს, **შილლერის გარდაცვალებიდან** ასი წლის შესრულების სახსოვრად ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა სასარგებლოდ გაიმართება სალიტერატურო და სამუსიკო დილა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საიმპერატორო თეატრების არტისტი ქალი პაპაიანი, პუშნოვი; ბ-ნნი: დონსკოი, გორევი, თავ. ბარიატინსკი, დერჟავინი, კაპანაკოვი, კნოტი, ნელიდოვი, ფიუსტი.

დასაწყისი ნაშუადღევის 12½ საათზე.

ბილეთები გაიყიდება მხოლოდ საარტისტო საზოგადოების კასსაში. (0—1)

რესტორანი
„ფუნიკულერი“.
სადილი 4 ბლუდი 1 მან.
სადილი 5 მაისთვის 1 ს.—5 საათ.:
1. შჩი რუტონნი.
2. ტოლმა ქართულად.
3. გოჭი შემწვარი ახალი სალათათი.
4. ჟალე მარასკინი.
და 5. ყავა.
პატრონი **ნ. ჩიკვაიძე.**

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 15, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე და საღამოთი 5-დან—8 საათამდე. (30—6.—2)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა შაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 11.

ნამდვილი ცელულიარული
◆ თესლი აბრეშუმისა ◆
ბაღდადის ჯიშისა, ოსმალეთის საუკეთესო ფირმებისა
ა. ქ. ზახარიადისა.
ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიაში **ძმ. პახკალიდებისა** აგრეთვე ვყიდი საჯიშო თესლს ბაღდადის ჯიშისას. მსურველთ შეუძლიანთ აგრეთვე ჩვენგან შეიძინონ თესლი ოსმალეთის და საფრანგეთის საუკეთესო ფირმებისა. 20 აპრილამდის მიჰმართეთ: ტფილისში, სოლოლაკი, ლერმონტოვის ქ. № 18 და 20 ერამოვის სახლი. (30—429—30)

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—278—23)

რუსეთ-იაპონიის ომი
დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
3 მაისი.

ფოძიადანი, 3 მაისი. ძელეზნოვის სოტნაში მოსამსახურე ოფიცრებმა, რომელთაც 18 აპრილს აჰკუწეს 140 იაპონელი, აუწყეს „პეტ. სააგენტო“-ს კორესპონდენტს, ჩვენ მტრის დასაზვერავად მივდიოდით და სოფელს შემოვუარეთ, სოფლიდან გამოცვივდნენ იაპონელები და შემოუტიეს ჩვენს კაზაკებს. მაგრამ უკანასკნელები გარს შემოერტყნენ მათ და ჩეხა დაუწყეს; ამნაირათ გავიარეთ ოთხი ვერსი. რამდენიმე კაზაკი დაიჭრა მსუბუქად. ესკადრონის უფროსი უნაგირიდან გადმოაგდეს, მაგრამ მან ტყვედ დანებებას თავის მოკვლა არჩია და მოიკლა კიდეცა. სამხრეთის მხრივ მოვაჭრე ჩინელები ამბობენ, იაპონელებმა შეივსეს ყველაფერი, რაც-კი საჭირო იყო მათთვის და სრულიად მზად არიან საბრძოლველად. ოიამა თავის შტაბით კაიუანში მივიდა და ჩქარა ლაშქრად წავა. ჯენიატუნის წინააღმდეგ, საცა ხუნხუზები დგანან, ორი რაზმი გაიგზავნა. 28 აპრილს სოტნიკმა გუდიევმა თავის რაზმის შემწეობით დაიჭირა ქალაქი, მეორე რაზმი 30 აპრილს ჯენიატუნში შევიდა კიდეც.

ბერლინი, 3 მაისი. „ფრანკფურ.-ცაიტუნგ“-ი იუწყება, საფრანგეთის სინდიკატი მზადაა ასესხოს რუსეთს ერთი მილიარდი ფრანკი, იმ პირობით კი, რომ ფულის ნაწილი მოხმარდეს რუსის სამხედრო გემების აშენებას საფრანგეთის ვერფებში. ამ მიზნით წავიდა ადმ. როდიონოვი პარიზში და იქ გაიცნობს საფრანგეთის ვერფების მოწყობილობას.

ტოკიო, 3 მაისი. (რეიტ.). აქ ჰფიქრობენ, თუ გამართლდა ხმა გერმანიისაგან ჩინელების ხაიჩოუს დაჭერის შესახებ, მაშინ ეს ძლიერ გაართულებს საქმეებსო. მდგომარეობა გამწვავდა ბალტიის ესკადრის მოძრაობის და მისვლისა. იმედი აქვთ, რომ საკითხის გამორკვევა მდგომარეობას განაკარგებსო.

ლონდონი, 3 მაისი, „ლლოიდ“-ი იუწყება სინგაპურიდან, ორთქლ-მავალი გემი „დოლესტან“-ი მოხსენებას ჰგზავნის ბეიხალიდან, რომელიც მალაკის სრუტეშია, რომ ერთმა ტრანსპორტმა ღუზა გადააგდო და დაშავებულ ნაწილებს ისწორებსო; ჰფიქრობენ, რომ ეს ტრანსპორტი რუსისაა.

პარიზი, 3 მაისი. „ჟურნალ“-ი სტამბავს თავის კორესპონდენტ დოდეს ნალაპარაკევს გრაფ ოკუმასთან. ტოგოს კარგათ ესმის მტრის ძალა და სულ ერთთავად მომავალ ბრძოლაზე ფიქრობსო; მაგრამ ოკუმას, მიუხედავათ ამისა, მტკიცედ სწამს საბოლოო გამარჯვებაო. ზავის უცილობელ პირობად ვლადივოსტოკისთვის იარაღის აყრა და მისი კომერციულ პორტად გადაქცევა უნდა იყოსო.

შანხაი, 3 მაისი. საეჭვოდ მიაჩნიათ გერმანიის ჯარების ხაიჩოუში გადმოსხმა. ჰფიქრობენ, ეს იმან გამოიწვია, რომ გერმანიის კანონიერებმა ნავთ-საყუდელი დაათვალიერესო.

პეტერბურგი, 3 მაისი. ჩვენ გავიგონეთ, რომ მინისტრთა კომიტეტის დღევანდელ სხდომაზე დადგენილ იქნა, ნება მიეცეთ ხელოსან-ებრაელებს ყველგან იცხოვრონ რუსეთის იმპერიაში.

პეტერბურგი. 3 მაისი. უმაღლესი ხელმწიფის უკაზი უმართებულეს სენატისადმი: „მინისტრთა კომიტეტში იმ საკითხების განხილვის შემდეგ, რომელნიც შეეხებიან ვილნოსა, კოვნოსა, გროდნოსა, მინსკისა, მოგილიოვისა, ვიტებსკისა, კიევისა, პოდოლისა და ვოლინის გუბერნიებში არსებულ განმსაზღვრელ დადგენილებებს, ჩვენ საჭიროდ ვსცანით შევამსუბუქოთ ხსენებულ დადგენილებათა მოქმედება. იმედი გვაქვს, რომ ჩვენ მიერ მიღებული ზომები განამტკიცებს ერთობას ხსენებულ გუბერნიებში მცხოვრებთა შორის და ისინი მიჰყოფენ ხელს ნაყოფიერ შრომას, რათა წარმატების გზას დაადგეს ეს მხარე. ამისთვის ვბრძანებთ: 1. ნება ეძლევათ ჩამომავლობით იჯარით აიღონ დასავლეთის ცხრა გუბერნიაში მიწა ყველასათვის საერთო კანონის ძალით, ისე, რომ განსაკუთრებული ვადა არ გამოცხადდეს ამისთვის; აგრეთვე ნება ეძლევათ მათვე კანონიერად შეიძინონ მიწები კერძო საკუთრებათ და სამუდამო სამფლობელოდ; შეუძლიათ აგრეთვე გირაოდ მიიღონ მიწები პოლონელთაგანვე; 2. ჩამომავლობით პოლონელებს ნება აქვთ დღეის ამიერ შეიძინონ დასავლეთის ცხრა გუბერნიების საზღვრებში უძრავი ქონება, რომელიც ქალაქსა და დაბებს გარეშე მდებარეობს, რათა ამით მოისპოს მიწების დაქუცმაცება და საზღვრები მოწეს-რიგებულ იქმნან მეურნეობის მხრივ; შეუძლიათ აგრეთვე გასცვალონ თავიანთი უძრავი მამულები სხვებისაზე იმ შემთხვევებში, რომელნიც სამოქალაქო კანონების მე-1374-ე მუხლშია ნახსენები; მაგრამ ყველა ამისათვის საჭიროა სათანადო გენ.-გუბერნატორებისა და გუბერნატორების ნება-რთვა. (შემდეგი იქმნება).

ლიბავა, 2 მაისი. ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა; ყველგან მუშაობაა.

მიტავა, 3 მაისი. აპრილის უკანასკნელ ორ დღეს და მაისის პირველ დღეებში მოხდა ქუჩებში არეულობა, რომელიც სისხლის დაუღვრელად ჩაქრა. გუშინ ქუჩაში დილის 11 საათზე სასიკვდილოთ დასჭრეს ხანჯლით საიდუმლო პოლიციის აგენტი. სიკვდილის წინ მან მოასწრო მკვლელის დასახელება. დღეს ქალაქში სიმშვიდეა; მუშაობა განაახლეს.

ტვერი, 3 მაისი. ჯარმა არ გაატარა მანიფესტანტები ბაირაღით ხელში ქალაქში მანიფესტანტები დაიშალნენ ჯართან შეუტაკებლად. ქალაქს დრაგუნები იცავდნენ. ფაბრიკებში ჯარია ჩაყენებული. მუშები საერთოდ მშვიდათ არიან. ტვერის მაზრის ზოგიერთ სოფლებში მანიფესტაციები გამართეს ფაბრიკის მუშებმა.

უფა, 3 მაისი. გაიარა პეტერბურგისაკენ გზათა მინისტრმა.

ვიატკა, 3 მაისი. გუშინ მეოთხე რაზრიადის ფოსტის უფროსმა მოხელემ სერგეევმა, რომელიც კოლექტიურ პეტიციის წარმოდგენისათვის დათხოვნილი იყო, მსუბუქად დასჭრა რევოლვერით ფოსტის კანტორის უფროსი, როცა იგი უკანასკნელს ელაპარაკებოდა.

გროდნო, 3 მაისი. ბრესტში ბოქაულ გოგოლის მოკვლის განმზრახველი აღმოჩნდა ხელობით ქურდი. მკვლელი მაშინ განუზრახავთ, როცა ბოქაული მათ ჩხრეკდა და დაჭერას უპირებდა. დღეს გაიფიცნენ ქალაქის მეფარნეები და ცეცხლის მქრობელნი და წარადგინეს მოთხოვნები შრომის პირობების შეცვლის შესახებ; რადგანაც მათ უარი განაცხადეს წინანდელ პირობებში მუშაობაზე, ამიტომ ისინი დაითხოვეს და დროებით მათ ადგილას ჯარის კაცები დააყენეს.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
3 მაისი.

ნიუ-ჩუანი. ნიუ-ჩუანიდან მოსული გემი იუწყება, რომ პეჩილიის ყურეში ნაღმს წააწყდა და ჩაიძირა იაპონელთა მეორე ტრანსპორტი.

პარიზი. პოლიტიკური წრეები ფიქრობენ, რომ იემენის ამბოხება საშიშარი ხდება ევროპისათვის, რომელსაც არ სურს ხელ-ახლად წამოსდგეს აღმოსავლეთის საკითხი. არავის არ შეუძლია წინდაწინ წარმოიდგინოს, რა და რა პოლიტიკური ცვლილება მოჰყვება ამ ამბოხებას. კრიტზე შეტაკება მოხდა იტალიის რაზმსა და მეამბოხეთა შორის. მეამბოხეებმა დაიჭირეს ქალაქები კასტელი, მილაპოტამოსი და მელიდანი, სადაც იპოვეს იარაღი და სამხედრო მასალა. ინგლისის სამხედრო გემი და საფრანგეთის საკანონერო ნავი „კონდორი“ კასტელისაკენ გაემგზავრნენ და უმბარებს დაუშვნენ ქალაქს იმ შემთხვევაში, თუ მეამბოხეები არ გავლენ იქიდან. ინგლისელთა ცნობებით, 27 აპრილს გემი „დევენშირი“ შეხვდა ბალტიის ესკადრას, რომელიც ნავთსადგურ ხონკოხესკენ მიდიოდა. იმავე გემმა დაინახა 27 აპრილს სამი მეფის კუნძულების ახლოს, ხანკოუს შესავალთან ნაპირიდან 12 მილის მანძილზე, ბალტიის ესკადრის 35 გემი.—გემი „ბორნეო“ იუწყება, რომ უცნობ სახელმწიფოს 5 ჯავშნიანი გემი 26 აპრილს კუნძულ იავას ახლოს იყო.

რიგა, 2 მაისი. დილის ათ საათზე თეატრის „ვარიეტე აპოლო“ შესავალთან უბნის ზედამხედველსა და ორ პოლიციელს უმბარა ესროლეს, რომელიც აფეთქდა, ფეხი მოსტეხა უბნის ზედამხედველს და სასიკვდილოდ დასჭრა პოლიციელი. უკანასკნელი საავადმყოფოში წაიღეს და იქ გარდაიცვალა. მეორე პოლიციელს ოთხჯერ ესროლეს ზურგში და მოჰკლეს.

მინსკი, 2 მაისი. გაიფიცნენ მოსკოვო-ბრესტის რკინის გზის მუშები.

პეტერბურგი, 3 მაისი. სადგურ პროხლადნაიასა, ბესლანსა, სლეპცოვსკაიასა და გროზნაზე კავკასიის ნამესტნიკს ეგებებიან მცხოვრებლებისა და ქალაქების დეპუტაციები და ჯარების უფროსები, პურ-მარილითა და ყვავილებით გრაფის მეუღლისათვის.

ლოძი, 3 მაისი. გუშინ მუშებმა უყურადღებოდ დასტოვეს მოწოდება საერთო გაფიცვის შესახებ. გარდა ზოგიერთისა, დღეს ყველა ქარხანა მუშაობს.

რიგა, 3 მაისი. დაიწყო მუშაობა ნავთსადგურში და ქალაქის გემების მიმოსვლა.

სამარა, 3 მაისი. გაზეთები არ გამოდის. გაიფიცნენ ასოთ-ამწყობნი, თერძები, ზოგიერთ მექანიკურ ქარხნის მუშები, მკერავი ქალები, წიგნის მკინძავები, ფოტოგრაფები და მეპურეები. ქალაქში დადიან გაძლიერებული სადარაჯო რაზმები.

გომელი, 3 მაისი. ქალაქის სასაკლაოში მომხდარ გაფიცვის გამო უკვე ხუთი დღეა, რაც ქალაქი უხორცოდაა.

ირკუტსკი, 3 მაისი. ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორის მიერ გამოცხადებული უმაღლესი ბრძანება ციმბირში ერობის შემოღების შესახებ შემდეგის სიტყვებით თავდება: „შევუდექი რა, უმაღლესი ბრძანების განსახორციელებლად, საკითხის განხილვას ციმბირში ერობის შემოღების შესახებ, საჭიროდ ვსცანი მოვისმინო აზრები იმ პირთა, რომელნიც იცნობენ ციმბირის ცხოვრების პირობებს. მივმართავ ყველას თხოვნით ხელი შეუწყონ თავის გამოცდილებით ამ დიდ საქმეს და გულ-ახდილად, მოურიდებლად გამოსთქვან თავისი აზრი აღძრულ საგნის შესახებ. ვთხოვ გამოგზავნონ ჩემ სახელზე ყველა წერილი და განცხადება“.

ლონდონი, 3 მაისი. სამხრეთ ჩინეთის საზოგადოებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც სისრულეში იქნება იმ შემთხვევაში, თუ ამერიკა არ გააუქმებს ჩინელთა წინააღმდეგ მიმართულ კანონებს. რეზოლიუციაში ნათქვამია, არც ერთ მოწაფეს არ გავგზავნით ამერიკის სკოლებში და ამერიკასთან ყოველნაირ ვაჭრობას მოვსპობთ.

ლონდონი, 3 მაისი. საზოგადოებათა პალატაში ბალფურს შეეკითხნენ: რა იცით ჩინეთში გერმანიის მოქმედების შესახებაო. ბალფურმა უპასუხა, არაფერი ცნობები არ მომსვლიაო. ტოკიოდან ხმა მოვიდა, გერმანიის რაზმმა დაიჭირა ხაიჩოუ შანტუნგის სამხრეთით, მდინარე ხუნხეს წინანდელ კალაპოტის ჩრდილოეთითაო. გერმანიის დროშის ამართვის დროს ზარბაზნები ისროლეს. სინგაპურს მოსულმა გემმა დაინახა მალაკის ყურეში ტრანსპორტი, რომელიც რუსეთის გემს ჰგავდა. ფიქრობენ, ნებოგატოვის ესკადრის ნახშირის გემი უნდა ყოფილიყოო.

მოსკოვი, 3 მაისი. შმაკოვის თაოსნობით არსდება საზოგადოება, რომელიც დაბალ სკოლებში აარჩევს ნიჭიერ მოსწავლეთ, რომ შემდეგ მიეცეს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის განგრძობისა. ბეჭდვითი სიტყვის მოღვაწეთა განყოფილებამ მიიღო მხედველობაში, რადგანაც 1 მაისამდის ასოთ-ამწყობთა უსახელო წერილები მოვიდა იმათ სადღესასწაულო დასვენების შესახებ და ასოთ-ამწყობნი კი უარს ჰყოფენ ამ წერილების მიწერას, გადასწყვიტა დაარსოს საშუამავლო ბიურო, სადაც ასოთ-ამწყობთ შეუძლიათ გამოსთქვან თავიანთი სურვილი გულახდილათ.

დონის-როსტოვი. 1 მაისს სადამოს ქალაქის ბაღთან გამოჩნდა ბრბო სიმღერითა და ბაირაღებით. ბაღში მოსეირნე ხალხი გაიქცა ბაღიდან. შიში გავრცელდა სადოვაია ქუჩაზე მრავალ მოსეირნეთა შორის, რომლებიც სირბილით გაიფანტნენ. მშვიდობიანობა ჩქარა იქმნა აღდგენილი.—მემანქანეებისა და გემების კომანდის გაფიცვა არ შეწყვეტილა. გემები პორტში სდგას და ამით ექსპორტერებს დიდ ზარალს აყენებენ. მეპურეთა გაფიცვა არ შეწყვეტილა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომი ხმელეთზე. როგორც 28 აპრილს გუნჯულინიდან იტყობინებიან, ხმა დადის, რომ იაპონელებმა თავიანთი რეზერვები, აქამდე ტელინის სამხრეთით რომ ეყენიათ, კაიუანის გზისაკენ მისწიეს. ეს მოძრაობა იმის მომასწავებელია, რომ ყოველ დღე მოსალოდნელია იაპონელებმა პირველებმა დაიწყონ ბრძოლაო. („რ. ს.“).

— ტოკიოდან მოსულ ოფიციალურ ცნობიდანა სჩანს, რომ 26 აპრილს რუსის ჯარის ორი ქვეითი პოლკი და 500 ცხენოსანი ერთის ბატარეით ხენჩენის მახლობლად, ნანშანხენზიდან 30 მილის მანძილზე, იაპონელებს მიუხტა და ასი მეტრის მანძილზე გაიწია იაპონელთა რაზმის იქითო. მაგრამ მერე იაპონელები თავის მხრივ ეკვეთნენ რუსებს და უკუ აქციეს. რუსებმა ბრძოლის ველზე დასტოვეს 60 კაცი მკვდარი და 160 დაჭრილი. ბევრი მკვდარი და დაჭრილები თან წაიყვანეს ჩინურად გამოწყობილმა რუსის ჯარის-კაცებმა. რუსებმა საერთოდ, ალბად, 300 კაცი დაჰკარგეთ. იაპონელებს მოუკლეს 1 და დაუჭრეს 20. („რ. ს.“).

— პეტერბურგიდან „ლოკალ ანც.“-ს აუწყებენ: როგორც უკანასკნელად მოსულ ამბებიდანა სჩანს, მუკდენის ბრძოლის შემდეგ ჩამოვარდნილ მყუდროებას ბოლო ელება. მარშალმა ოიამამ უკანასკნელ კვირის განმავლობაში შესამჩნევად წასწია წინ თავისი ორისავე გვერდის ფრთა. რაც

დააკლდა, იმის მაგიერი მებრძოლი ჩააყენა და ყოველ დღე ახალ-ახალი რაზმები ემატება. მიზიდა აგრეთვე აუარებელი სურსათი და ყოველგვარი საომარი მასალა. რუსის ჯარსაც შესამჩნევად მიაშველეს მებრძოლნი და ისიც საბოლოოდ გაჩერდა ჩანტუნტუნ-გირინის გზაზე. რაც მთავარ-სარდლობა გენერალ ლინევიჩის ხელში გადავიდა, ჯარში სასტიკი წესები დამყარდა. მთავარ-სარდალმა გენერლებს წინადადება მისცა: ვაგონებში რომ ასეთის კომფორტით სცხოვრობთ, თავი დაანებეთ და პოზიციებზე გადადითო. გენერალურ შტაბის აფიცრებს, რომლებიც აქამდე უსაქმურად ჯარის უკან იყვნენ, ებრძანათ—პირდაპირ ჯარში გადადით, რაკი ბრძოლა მალე უნდა განახლდეს, იქ უფრო გამოსადეგნი იქნებითო. („ო. ნ.“).

ომი ზღვაზე. პარიზულმა გაზეთმა „ჟურნალ“-მა ერთად თავი მოუყარა ფრანგ მეზღვაურთა აზრებს როჟესტვენსკის ესკადრის აწინდელ და ახლო მომავალის მდგომარეობის შესახებ. სამხედრო საქმის სპეციალისტები ერთხმად გაიძახიან, რომ თუ მართლა როჟესტვენსკის აზრადა აქვს ტოგოს თავი მოარიდოს და იმას ეცდება, რომ ვლადივოსტოკში ჩავიდეს, იმ შემთხვევაში ზღვაზე რუსების საქმე წასულად უნდა ჩავთვალოთ. მის დამარცხებას წინ არა უდგას-რა. თუ ხელიდან გაუშვეს ბრძოლის ატეხის შემთხვევა და ვლადივოსტოკში ჩავიდნენ, იაპონელები ჩაკეტავენ, ნაღმოსნებით არ მოასვენებენ და წყლის ქვეშ ჩალაგებულ ნაღმებით თანთათან დაუმსხვრევენ გემებს და ბოლოს საქმე იმნაირადვე სამწუხაროდ გათავდება, როგორათაც გათავდა პორტ-არტურის ესკადრის საქმე. მაგრამაო, იმედოვნებენ ფრანგი მეზღვაურნი, როჟესტვენსკი ამას არ იზამს. რუსის ადმირალი ნამდვილი მხედართმთავარია. საფრანგეთში ვიცნობთ ამ კაცს. სავსეა მხნეობით და სიფიცხით, მაგრამ სიფცხეც გამოზომილი და აწონ-დაწონილი აქვსო. მაკაროვზე მაღლა ვაყენებთ ამ კაცს, იმიტომ რომ უძლეველის ენერგიის პატრონია და ღრმადა სწამს, რომ გამარჯვება მას უნდა დარჩესო. („ო. ნ.“).

ღირსება ტოგოს და როჟესტვენსკის ესკადრებისა. 26 აპრილს კონტრ-ადმირალ ნებოგატოვის რაზმმა საიგონთან გაიარა და სენ-ჟაკის კონცხთან შეხვდა კრეისერებს „რიონსა“ და „ყუმჩუგს“, რომელნიც როჟესტვენსკიმ მიაგება. ამნაირად ნებოგატოვი შეუერთდა რუსის ესკადრის მთავარს ძალებს. არავინ იცის შეერთებული ფლოტი საით წავიდა. რაც შეეხება იაპონიის ფლოტს, ტოგო უმთავრესის ძალებით ფორმოზის სრუტეშია, პესკადორის კუნძულებთან, ასე რომ ტოგოს არ გამოეპარება როჟესტვენსკის მოძრაობა. ორივე ესკადრა ერთი მეორეზე 900 მილის მანძილზე არიან. თუ რუსის ფლოტი მზად არის საომრად და თუ პირველი როჟესტვენსკი ასტეხავს ბრძოლას, ეს ბრძოლა 1 მაისს უნდა დაიწყოს. ამ ცნობებს იძლევა „რ. ვედ.“ და თანაც ადარებს იაპონიისა და რუსის ფლოტების ძალას და იმას ასკვნის, რომ ტოგოს საომარი გემები რუსებისაზე გაცილებით უკეთესად არის შეიარაღებულიო. იაპონიის გემების სამანქანო და საქვაბე განყოფილებანი ჯავშნით 10—15% უფრო ძლიერად არიან დაფარულნი, არტილერია 20—30% უფრო სქელ ჯავშნით, ერდო—30%-ით, ხოლო იაპონელთა გემების კედლები, რაც წყალს ზევითაა, დაუფარავი ნახევრად ნაკლებია, ვიდრე რუსების გემებზე. ამ დაფარულობის მეტ-ნაკლებობის მიზეზი ის გახლავთ, რომ რუსის გემების მშენებელნი სცდილობდნენ გემები მეტის წყალ-წყვისანი ყოფილიყვნენ და ის კი დაავიწყდათ, რომ ამით ღირსება აკლდებოდათ გემებსა. იაპონელთა 15,000 ტონიან ჯავშნოსნების წინააღმდეგ რუსებს გამოჰყავთ 12,000 ტონიანები, ხოლო 12,000-ების—10,000 ტონიანები. აქ ისიც უნდა დავუმატოთ, რომ იაპონელმა ინჟენრებმაც მეტის-მეტი ოსტატობა და საქმის ცოდნა გამოიჩინეს. „იძუმას“ ტიპის იაპონური კრეისერები 10,000 ტონა წყალწყვისა საერთოდ ნაკლებ დაფარულნი არ არიან „ბოროდინოს“ ტიპის რუსის ჯავშნოსნებზე, რომელთაც 3,500 ტონა მეტი აქვთ წყალწყვა. რუსებს ის-და დარჩენიათ, რომ იმედი იქონიონ ადმირალ როჟესტვენსკის მოხერხებულება და რუსის მეზღვაურთა სიმამაცე თუ მოერევა იაპონიის არტილერიის უპირატესობას და იაპონიის ჯავშნოსნების შეიარაღებას.

ეროვნული საკითხი

ეროვნული ანუ ნაციონალური საკითხი ქართველის ხალხისთვის ერთ-ერთი ეგრედ წოდებული „მწვავე საკითხთაგანია“. ყველა ქართველი, მიუხედავად სოციალურის მდგომარეობისა, ამ საკითხის რეალურს სიმკაცრეს აუცილებლად განიცდის თავის საკუთარს პიროვნებაზე და ამიტომ ამ საგანს სამართლიანად უბრუნდება ასე ხშირად ჩვენი მწერლობაც. „ჭეშმარიტებას მუდამ უნდა ვიმეორებდეთო,—ამბობს გეტე,—რადგან შემცდარს აზრებსაც ჩვენს გარეშემო დაუცხრომელად ჰქადაგებენო“. თუ ეროვნების შესახებ წერილებისთვის ოდესმე შესაძლო იყო ეს ბრძნული აფორიზმი წაგვემძღვარებინა, ორკეც და ათკეც საჭიროა ეს ეხლა, როდესაც თვით ჩვენს საზოგადოებაში, თვით ჩვენს მწერლობაში ერთის მიმართულების მიმდევარნი ყოველს ღონეს ჰხმარობენ ამ საკითხის გადასაფუჩეჩებლად.

ნაყოფიერი და სალი მსჯელობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია მოსალოდნელი და შესაძლებელი, როდესაც საგანი და მიზანი მსჯელობისა ნათლად გვაქვს წარმოდგენილი და შეგნებული. რა საკითხიც უნდა იყოს, სულ ერთია სოციალური საკითხი იქნება ეს, ქალთა საკითხი თუ ეროვნული, პირველ ყოვლისა უნდა გვესმოდეს, რის შესახებ გვექნება მსჯელობა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, აზრი უგზო-უკვლოდ და უთავბოლოდ იტრიალებს აქეთ-იქით, ხან ერთს წვრილმანს წააწყდება, ხან მეორეს და დასასრულ საგანი, ნაცვლად გამარტივებისა და გამორკვევისა, უფრო აირევა და გართულდება. მაშასადამე, ჩვენი პირველი საქმე უნდა იყოს, რაც შეიძლება, მკაფიოდ და სწორედ ავხსნათ შინაარსი ეროვნულის საკითხისა, რაც შეიძლება მარტივად წარმოვიდგინოთ, რა შეადგენს „ეროვნულს საკითხს“.

ჩვეულებრივ, ვინც კი ეროვნულს საკითხზე იწყებს მსჯელობას, პირველიდანვე მთელს თავის გულისყურს, მთელს თავის ძალღონეს იმის გამორკვევას ახმარებს, თუ რა არის ნაცია ანუ ერი და რა შეადგენს იმის არსებითს შინაარსს. გავკადნიერდებით და ვიტყვით, რომ ეს გზა ჩვენ უნაყოფოდ და უაზროდ მიგვაჩნია ეროვნულის საკითხის გადასაწყვეტად. ერი და ეროვნება — ფაქტია, რომელიც შეიძლება მეცნიერულ ან ისტორიულ კვლევა-ძიების საგნად გავიხადოთ, ე. ი. ავხსნათ იმისი წარმოდგომა, გავითვალისწინოთ ის მრავალფეროვანი მიზეზები, რომელთაც შეჰქმნეს იგი, მაგრამ ამ გვარი გამოკვლევა ჩვენ ერთს ნაბიჯსაც არ გადაგვადგმევინებს თვით ეროვნულ საკითხის გადაწყვეტისაკენ. მეცნიერული გამოკვლევა ისეთის ინდივიდუალურის ხასიათის ფაქტისა, როგორიც არის ერი და ეროვნება, მხოლოდ იმ განსაკუთრებითს ამა თუ იმ ერის დამახასიათებელ თვისებებს დაგვიყენებს თვალ-წინ, რომლებსაც უამისოდ შესაძლოა ასე ნათლად ვერა ვხედავდეთ, მაგრამ ის მაინც უძლურია აგვიხსნას და გადაგვიწყვიტოს ცხოვრების მრისხანე ტალღებისაგან გამწვავებული ეროვნული საკითხი. ჩვენ არ უარვყოფთ იმ მნიშვნელობას, რომელიც უეჭველად აქვს ერის და ეროვნების მეცნიერულად შესწავლას, პირიქით, ჩვენის აზრით, ამ გვარს მეცნიერულს გამოკვლევებს ეროვნულ თვით-ცნობიერებისთვის დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს, ისე როგორც საერთოდ ისტორიას, მაგრამ, ჩვენის შეხედულებით, „ეროვნულის საკითხის“ გადაწყვეტა მაინც აქ არ უნდა ვეძიოთ. რაც უნდა იყოს ერი, რაც უნდა შეადგენდეს ერის არსებითს თვისებებს, მაინც უეჭველია, რომ თითოეული ერი მეორისაგან განსხვავდება, მაშასადამე ეს ერების სხვადასხვაობა უტყუარი ფაქტია, ბუნებრივი მოვლენაა და ეროვნულს საკითხს შეუძლებელია გვერდი ავუხვიოთ.

ეროვნული საკითხი მხოლოდ იმიტომ არსებობს, მხოლოდ იმიტომ აღელვებს კაცობრიობას, რომ ერთა შორის სხვა-და-სხვაობაა. მთელი ქვეყნიერობა რომ ერთის რომელისამე ეროვნების ხალხს ჰქონდეს დაჭერილი, მთელი ქვეყანა რომ ერთის ერისაგან იყოს დასახლებული, უეჭველია არც ეროვნული საკითხი იქნებოდა. ის ნიადაგი, რომელზედაც გაჩნდა ეროვნული საკითხი და რომელმაც შესაძლოა უფრო მეტად აატრიალოს ეროვნულ საკითხის ცეცხლი, არის ერების სხვა და სხვაობა, მათი ერთი მეორისაგან განსხვავება.

სხვა და სხვაობა ანუ, უფრო ნათლად რომ ვთქვათ, ერთის ერის მეორისაგან განსხვავება თვისებებით სრულებით იმასა არ ნიშნავს, რომ ისინი აუცილებლად მტრულის თვალით უცქეროდნენ ერთმანეთს. შემცდარია და ყალბი ის აზრი, რომელიც სხვადა სხვაობას და მტრობას ერთისა და იმავე მოვლენის ორს მხარედა სთვლის. ქვეყნად ორს ისეთს ადამიანს ვერა ჰნახავთ, რომ ყველაფერში ერთმანეთსა ჰგვანდნენ, ყოველი ადამიანი აუცილებლად განსაკუთრებითის თვისებების ან ხასიათის პატრონია. მაგრამ ადამიანები რომ საყოველთაოდ ერთი მეორესთვის მგლები იყვნენ — ეს არაფრით არა მართლდება: ის თეორია საზოგადოებისა, რომელიც ამ პრინციპს აღიარებდა (homo homini lupus est), დიდი ხანია დაჰგმო და უარჰყო კაცობრიობამ. იგივე უნდა ვთქვათ ეროვნებათა შესახებ: ერების სხვადასხვაობასა და მათ შორის მტრულ დამოკიდებულების შუა არავითარი ლოღიკური და რეალური კავშირი არ არსებობს. ეს რომ ასე არ იყოს, ეროვნულის საკითხის გადაწყვეტაც მთლად ძალმომრეობასა და ფიზიკურს ბრძოლაზე უნდა ყოფილიყო მიგდებული, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ფაქტები სულ სხვას ჰლაპარაკობენ. საკმარისია, მოვიგონოთ, რომ დღეს, რუსეთისა და იაპონიის შუა ატეხილ მკაცრის ომის დროსაც კი, იაპონელები სათნოებით ეპყრობიან რუსებს და რუსები იაპონელებს. განა ეს საკმაო საბუთი არ არის იმ აზრის უარსაყოფელად, რომელიც ეროვნებათა სხვადასხვაობას მათ შორის ბრძოლისა და მტრობის გამომწვევ ნიადაგად სთვლის? მართალია, სრული დაყოველ მხრივი სხვადასხვაობა ერთად ვერ მოთავსდება, ერთად ვერ მოიკიდებს ფეხს, ორის ყველასფრით განსხვავებულ საგნიდამ ან ერთი უნდა დარჩეს ან მეორე, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ერთი ერი მეორისაგან თუმცა განსხვავდება, მაგრამ იმათ ყოველთვის საერთო თვისებებიცა აქვთ. სხვა და სხვა ერების განმასხვავებელი და საერთო თვისებები რომ შევუფარდოთ ერთმანეთს, ბევრჯელ, ჩვენის ფიქრით, უმეტეს ნაწილად საერთო თვისებები სიმრავლითაც და მნიშვნელობითაც თვალსაჩინოდ გადააჭარბებენ განმასხვავებელს თვისებებს, და აი სწორედ ამიტომ მიგვაჩნია ყალბად ის აზრი, ვითომც ბუნების კანონი მოითხოვდეს ერთის ეროვნების ბრძოლას მეორესთან.

როგორც მკითხველი დაინახავდა, ჩვენ უკვე გამოვარკვიეთ ის შინაარსი, რომელსაც „ეროვნული საკითხი“ შეიცავს. შესაძლოა თუ არა ისეთი დამოკიდებულება იქმნას დამყარებული სხვა-და-სხვა ერის შუა, რომელიც არც ერთს ეროვნებას არ შეავიწროვებს და ამასთანავე განამტკიცებს მათ შორის კავშირს, შესაძლოა თუ არა მოთავსდეს ერთად ერების სხვადასხვაობა და სოლიდარული განწყობილება მათ შორის? სხვა ნაირად რომ ვთქვათ, ეროვნული საკითხი არის საკითხი იმის შესახებს, თუ როგორ უნდა იქმნას განხორციელებული რეალურად ეროვნებათა თანასწორობა?

ამ გვარად, ჩვენთვის ეროვნული საკითხი იმ წინასწარ მიღებულს აზრს ანუ პოსტულატს იგულისხმებს, რომ ყოველი ერი ცხოვრების სარბიელზე თანასწორის უფლებით გამოდის, რომ ყოველს ერს ყველა სხვა ერთან თანასწორი უფლება აქვს არსებობისთვის და არ არსებობს უპირატესობა ერთის ერისა მეორესთან შედარებით. მართალია, ვერც ერთი პროგრესსიულ აზროვნების მიმდევარი ადამიანი ვერა ჰბედავს, საჯაროდ აღიაროს, რომ ყველა ერს თანასწორი უფლება არა აქვსო არსებობისთვის, მაგრამ ეს აზრი მაინც ბევრს ქართველს პროგრესსისტსაც კი უტრიალებს თავში და ამიტომ შემდეგს წერილში ცოტა ხანს შევჩერდებით ამ საგანზე.

გ. რ.

ს ო ფ ლ ა დ

აფხაზეთი. იმ მძლავრმა ტალღამ, რომელიც საღათას ძილით შეპყრობილს ჩვენს სამშობლოს ასე ელვის უსწრაფესად მოედო და, ქვეყნიერების გასაოცრად, მთელი ხალხი ზეზე დააყენა, ჩვენის [illegible] შემზარავისა და სულის შემხუთველის რეჟიმის მეოხებით წელში მოხრილის, ოდესღაც ლაღ და თავისუფალ, აფხაზის ქოხის კარებსაც მიუკაკუნა: გძინავს, თუ უკვე დაგეხშო ყოველი კეთილი ძალა სიბნელესთან საბრძოლველადაო? „მეც იქა ვარ, სადაც ბედით დაჩაგრულნი ჩემნი ძმანიო“, სთქვა აფხაზმა და ბედნიერი, განმანთავისუფლებელი ტალღა მთელ აფხაზეთს მოედო: აფხაზთა უმეტესობა უკვე გაფიცულია. ეს გარემოება ბნელ ძალების მოტრფიალეთ არ ეჭაშნიკათ და ამისთანა შემთხვევაში გამოცდილ, ნაცად საშუალებას მიმართეს: აფხაზთა შორის გაავრცელეს ხმა, ვითომ ქართველობას (გურულებსა და მეგრელებს) სდომებოდეთ აფხაზთა მიწა-მამულის მისაკუთრება.

ჩვენდა სამწუხაროდ, თავად-აზნაურობის უმეტესობაც ამ აზრს ავრცელებს გლეხობაში, და ერთს კერძო თათბირზე გადასწყვიტა კიდეც: ამ მოძრაობის დროს თუ ვინმე აფხაზ თავად-აზნაურთაგანი მოკლულ იქმნა, მაშინ აფხაზობამ სოხუმის ოლქში მცხოვრები ქართველობა უნდა ამოსწყვიტოსო... და გადასწყვიტეს, დააჯერონ გლეხობა და მოძრაობა სათავეშივე მოსპონ, მაგრამ ამაოდ: გლეხობა თავისას არ იშლის და იბრძვის უკეთეს მომავლისათვის. სამწუხაროდ კი, დასავლეთ აფხაზეთში—ბზიფში ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა ქურდობა-ავაზაკობა, და ყველა ამის ბრალსა სდებენ ერთობის მქადაგებელ მეგრელობას, თუმცა ფაქტები აშკარად სხვას ქადაგებენ. ამაზე შემდეგ.

ამ მოძრაობით შეშინებულ თ.-აზნაურობის მოწვევით ს. მოქვში 8 აპრილს მოხდა აღმოსავლეთ აფხაზეთის (აბჟუა) მცხოვრებთა კრება. 6 აპრილს სოფელ გუდავაში (სამურზაყანოშია) კერძო თათბირზედ სამურზაყანოსა და აბჟუას წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს, მოეხდინათ ორივე მხრის მცხოვრებთა საერთო კრება, წინასწარ კი სამურზაყანოელებმა და აბჟუელებმა ცალკ-ცალკე იქონიონ სჯა-ბაასი თავიანთ ჭირ-ვარამზედ. კრების საგნად დასახეს: 1. უმაღლეს აღრესის მირთმევა; 2. როგორ დაუხვდნენ ახალ მოძრაობას და 3. რა საშუალება იხმარონ, რომ აფხაზეთის მკვიდრთა კეთილდღეობის გამანადგურებელი ქურდობა მოსპონ. 10 აპრილისათვის საერთო კრება დანიშნეს სოფელ ოხურეიში.

როგორც ზევით მოვიხსენიე, 8 აპრილს მოხდა მთელ აღმოსავლეთ აფხაზეთის მცხოვრებთა კრება სოფელ მოქვში. კრებას დიდძალი ხალხი დაესწრო. თავად-აზნაურობა მოშორდა გლეხობას და ცალკე გამართა თათბირი, გლეხობამ ცალკე. გლეხობამ ერთხმად გადასწყვიტა, „ღვთიურ კანონების“ მაძებართ მთელის თავის ძალ-ღონით შეუერთდეს და შეჰფიცეს ერთმანეთს არ უღალატონ გასაჭირში ურთ-ერთს. ხასიათიანი სანახავი და საყურებელი იყო მათი კრება. მშვენივრად და მჭერ-მეტყველობით აწერეს თავიანთი უკუღმართი მდგომარეობა...

თავად-აზნაურობამ-კი, ხანგრძლივ თათბირის შემდეგ, შეგონებას, დარიგებას მიჰმართა; მათ მაგიერ ლაპარაკობდა თავად ხაბუგ

ფელეტონი

საქართველოსა და კავკასიის მთავარ-მართებელნი და კავკასიის ნამესტნიკები

(მოკლე ისტორიული მიმოხილვა)

დღეს, 5 მაისს, შუადღისას, საქართველოს სატახტო ქალაქ ტფილისს მობრძანდება რუსეთის იმპერატორის მოადგილე კავკასიაში გრაფი ილარიონ ივანეს ძე ვარანცოვ-დაშკოვი. მოხუცებულ გრაფს მძიმე საქმე დაეკისრა: ამიერკავკასია, განსაკუთრებით საქართველო, ეძებს ცხოვრების ახალ ფორმებს და საქმე იმაზე შედგა, რომ ამ ჟამად ძველებურად ცხოვრება აღარ შეიძლება. აი, ეს დიდი საგანი დაგვიყენა დღეს ცხოვრებამ: უეჭველად ეს დახლართული კვანძი უნდა გამოიხსნას, ძველებურად მისი მიფუჩეჩება სიკეთეს ვერ მოიტანს, საქმე შეიძლება გამწვავდეს, უკეთუ ახალი მმართველი ახალს გზას არ ამოირჩევს ქვეყნის მართვა-გამგეობისათვის. ეს ახალი გზა, ანუ კურსი თვით ერმა ნათლად და პირდაპირ უჩვენა მთავრობას — ქვეყნის პატრონობა შეიძლება მხოლოდ ქვეყნისავე ამორჩეულ, სანდო კაცების შემწეობა-დახმარებითო. იმედს არა ვკარგავთ, რომ გრაფი ვარანცოვ-დაშკოვი ძველს გზას გვერდს აუხვევს, დატუქსვის პოლიტიკას მოურიდებს და ხალხთან ერთად შეუდგება ჩვენის ქვეყნის მოვლას. სიკეთე და ბედნიერება ახალ გზაზე სიარულისა მალე იჩენს თავსა, ქვეყანა დამშვიდდება, დაწყნარდება და მხნედ მიეცემა თავის კულტურულ ძალთა განვითარებას. მოგებით ყველა მოგებაში იქნება, იმპერია, ჩვენ ქართველები და ჩვენივე მეზობლები.

1800 წელს, 28 დეკემბერს, 11 საათზე განისვენა საქართველოს უკანასკნელმა მეფე გიორგი XIII. სწორედ ეს თერთმეტი საათი 18 დეკემბრისა ჩვენ მიგვაჩნია საქართველოს პოლიტიკურის არსებობის მოსპობის მომენტად. გენერალ ლაზარევმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო მეფის გარდაცვალების გამო და სამეფოს გამგედ დასტოვა ბატონიშვილი იოანე, რომელიც გიორგის სიცოცხლეში განაგებდა სამეფოს. ასე რომ სურობის დროს საქართველოს პირველ მმართველად უნდა ჩაითვალოს ბატონიშვილი იოანე.

მალე პეტერბურგიდან მოვიდა შესაფერი ინსტრუქცია და სამეფოს გამგედ აღიარეს ბატონიშვილი დავით, პირმშო მეფე გიორგისა და იმპერატორ პავლეს მიერ უკვე დამტკიცებული მემკვიდრედ. დავითს მეფობა არ მისცეს. ოფიციალურად დარქვა გამგე საქართველოსი, ანუ ნაცვალი იმპერატორისა საქართველოში. დავითი განაგებდა სამეფოს რაღაც ნახევარ წელიწადს. იმპერატორის ნაცვლად საქართველოში, ანუ პირველ ნამესტნიკად ჩვენ მიგვაჩნია ბატონიშვილი დავითი.

დავითის გადაყენების შემდეგ მთავარ-მართებლად დაინიშნა გენერალი კარლო თევდორეს-ძე კნორრინგი, რომელმაც საქმე ისე აურ-დაურია, რომ საჩქაროდ დაინახეს მისი გაძევება 8 სექტემბერს 1802 წ.

კნორრინგის შემდეგ გამწესეს თ. პავლე დიმიტრის-ძე ციციშვილი (1802—1806 წ.) შიშის ზარი დასცა ამ შესანიშნავმა გენერალმა საქართველოს გარეშე მტრებსა და შინ კიდევ ბატონიშვილებს, ესენი სულ ერთიან რუსეთში გადასახლა ორიოდ-სამიოდეს გარდა. განჯას რომ წავიდა, ასე შეუთვალა ჯავად-ხანს—თამარ დედოფლის დროიდან განჯა საქართველოს კუთვნილება იყავო. მეფეთა სისუსტის გამო განდგომილა და დღეს სურვილი მაქვს დავუბრუნო საქართველოს მისი ქონებაო.—საქართველოს მართვა-გამგეობა რიგიანად ვერც ამ მხნე გენერალმა მოაწყო. წესი და რიგი მართვა-გამგეობისა პოლიციური იყო, სწორედ ისეთი, როგორიც თვით მაშინდელ რუსეთში მეფობდა. ხალხი აბეზრებოდა და იყვლიფებოდა ათასი გადასახადით, სამართალი ვერ სამართლდებოდა, სუსტად, მაგრამ ნელ-ნელა თავს იჩენდა გარუსების პოლიტიკა.

ციციშვილის შემდეგ მთავარ-მმართებლობდა გრაფი ივანე ვასილის-ძე გუდოვიჩი (1806—1809 წ.) ამ გენერალმა თავი იმითი ისახელა, რომ სირცხვილეული დაბრუნდა ერევნიდან.

გუდოვიჩის შემდეგ დაინიშნა გენერალი ალექსანდრე პეტრეს-ძე ტორმასოვი (1809—1811 წ.) ამ გენერლის დროს იმერეთმა სამუდამოდ დაჰკარგა პოლიტიკური თავისუფლება. მეფე სოლომონ II ტრაპიზონს გარდაიცვალა 1815 წ.—გენერალი ტორმასოვი შეუპოვარი და უშიშარი კაცი იყო, მინიდან გარედ არ გამოდიოდა, თუ ძალიან არ გაუჭირდებოდა საქმე. მის დროს დიდად იყვავდა მოხელეთა თვითნებობა და მოქრთამეობა.

ტორმასოვისავე დროს მოისპო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. უკანასკნელი კათოლიკოზი ანტონი II რუსეთში გაისტუმრეს.

მარკიზმა ფილიპე ოსიფის ძე პაულუჩიმ (1811—1812 წ.) თავი ისახელა კახეთის მღელვარების დროს. ჯერ ეგზეკუციებით ამოხადა სული ერსა და მერმე იარაღით ჩააქრო ამბოხება.

გენერალი ნიკოლოზ თევდორის ძე რტიშჩევი (1812—1816 წ.) არაფრითაა შესანიშნავი. მის მთავარ-მართებლობის დროს გენერალი სიმონოვიჩი შეესია ხევსურეთს 1813 წ., სადაც ბატონიშვილი ალექსანდრემ შეაფარა თავი, და დიდად გაარხა ეს ბედური და მწირი ქვეყანა.

გენერალი ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვი კავკასიის პროკონსულად წოდებული (1816—1827) შესანიშნავია იმით, რომ თითქმის მოსპრიკა სახანოები, დაღესტანი და ყაბარდო. სამოქალაქო საქმისათვის არა სცხელოდა, ეგ იყო, რომ ვახტანგის კანონები გადასთარგმნეს ხელ-ახლა ჩუბინაშვილისა და თ. ფალავანდიშვილის შემწეობით. ვახტანგის კანონებს კიდევ გასავალი ჰქონდა და რიგიანი თარგმანი კი არ იყო. ერმოლოვის დროს 500 კომლი ვირტემბერგელი გერმანელი გვესტუმრა და ჩამოგვეხიზნა ვითომ და კულტურის შემოსატანად.

გრაფ ივანე თევდორეს ძე პასკევიჩმა (1827—1831 წ.) სახელი გაითქვა ერევნის აღებით. დაიჭირა აგრეთვე ახალციხე, ყარსი, არზრუმიდან გადმოასახლა თითქმის 100,000 სომეხი და დაასახლა სამცხე-საათაბაგოს და გუმბრის მხარეს. პატარა გურია პასკევიჩის დროს უბრალო პროვინციად გამოაცხადეს.

ბარონი გრიგოლ ვლადიმერის ძე როზენი (1831—1837), ევგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინი (1837—1842) და ალექსანდრე ივანეს ძე ნეიდგარდი (1842—1844) შესანიშნავი არაფრით არ არიან. საქმე ისე წაახდინეს, ისე გაუტეხეს სახელი რუსის ხმალსა, რომ კინაღამ დაღესტანმა ხელიდან გამოგლიჯა რუსეთს ამიერ-კავკასია. გოლოვინის დროის სამოქალაქო საქმეთა დებულება უღდო გამოდგა და მალე აღკრძალეს მისი ხმარება.

გრაფი მიხეილ სიმონის ძე ვარანცოვი (1844—1854 წ.), შემდეგ თავადი დაინიშნა იმპერატორის ნაცვლად დიდის უფლებით. მაშასადამე ეს მეორე ნამესტნიკია ჩვენის ანგარიშით. ვარანცოვს მიენიჭა ყველა მინისტრების უფლება და ამას გარდა შეეძლო მიეღო სხვა ღონისძიებაც, თუ ადგილობრივი ვითარება მოითხოვდა, მხოლოდ მერმედ შეატყობინებდა ხელმწიფეს—ასე და ასე მოვიქეციო. ვარანცოვისთანა უფლება არც ერთ მთავარ-მართებელს არა ჰქონია.—ვარანცოვმა გადმოასახლა ჩვენში 3500 სული რუსის მწვალებლებისა.

ვარანცოვს უყვარდა ჩვენი ქვეყანა, ადგილობრივ მკვიდრს კეთილის თვალით უცქეროდა და ცდილობდა მათს გაევროპიელებას. ნეტარხსენებულმა პრიკაზმა მაგრად მოიკიდა ფეხი. ქართულ გაზეთსა და თეატრს სწყალობდა. აღალარებსა და ხანებს საკუთრებად დაუმტკიცა მამულები, გოლოვინის დროს ჩამორთმეული. არც ვარონცოვის დროს მიუღია მონაწილეობა მართვა-გამგეობაში ადგილობრივ მკვიდრს.

მესამე ნამესტნიკად იყო ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვი (1854—1856). თათრული ენა იცოდა, გრამატიკაც-კი დასწერა ამ ენისა, ებრაულსაც სწავლობდა. ვერას მოგახსენებთ—იცოდა თუ არა ქართული. სახელი გაითქვა ყარსის აღებით.

თ. ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი (1856—1861), მეოთხე ნამესტნიკია. მთელი ძალ-ღონე შამილთან ბრძოლას მოანდომა. შინაურ საქმეებისათვის არა სცხელოდა, დაარსა მხოლოდ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება. ცოლად ქართველი ქალი ჰყავდა.

ბარიატინსკის შემდეგ ნამესტნიკად დაინიშნა (1862—1881 წ.) დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე. ეს დრო ბევრს ეხსომება და სწორედ სახსოვარიცაა, რადგან მაშინ გადავარდა ბატონ-ყმობა, შემოიღეს სამოსამართლო რეფორმა, სამოქალაქო დებულება და სხვა. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ არც ერთი დასახელებული რეფორმა სავსებით არ მოგვენიჭა. გლეხები ნახევრად გაანთავისუფლეს, სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი მოჰკვეცეს, ქალაქის ბედი მდიდარ ბურჟუაზიას ჩაუგდეს ხელში. არ მოგვეცა საერო დებულება, რომელმაც ასეთი დვაწლი დასდო რუსეთის ერსა.

დიდის მთავრის შემდეგ მოსპეს ნამესტნიკობა და აღადგინეს მთავარ-მართებლობა. განახლებული მთავარ-მართებლობა წილად ერგო თ. ალექსანდრეს მიხეილის ძეს დონდუკოვ-კორსაკოვს (1881—1890). ამის დროს შემოიღეს საერთო სამხედრო ბეგარა, სალდათებს ჯერ ჩვენშივე სტოვებდნენ, შემდეგ შიდა რუსეთის გუბერნიებში დაუწყეს გზავნა.

დონდუკოვის შემდეგ მთავარ-მართებლად სერგეი ალექსის ძე შერემეტევმა (1890—1896) და ბოლოს თ. გრიგორი სერგეის ძე გოლიცინმა (1896—1905). გოლიცინის დროს ყველას კარგად ახსოვს. სომხებს საეკლესიო მამულები

ანჩაბაძე. ჯერ დაასურათხატა, თუ როგორი „მამაშვილური მზრუნველობით" ეპყრობოდა თავად-აზნაურობა აფხაზეთში გლეხობას მაშინ, როდესაც სამეგრელოსა და გურიაში კეთილშობილი წოდება ტყავს აძრობდა ყმებს. „ჩვენს მამაშვილურს მზრუნველობას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ თქვენ სხვებსავით უმიწაწყლოდ არ დაგტოვეთ,—განაგრძო თ. ანჩაბაძემ:—ჩვენ დავიკელით, ცოტას დავჯერდით და მით თქვენ გყავით მიწით უზრუნველი *)". სიცრუეა, სიცრუე! იგრიალა ერთხმად გლეხობამ. თავად ანჩაბაძემ დიდის საყვედურით მიმართა იმ საზოგადოებათ, რომელნიც პირველად გაიფიცნენ, და მათი განმათავისუფლებელი მოძრაობა „ბუნტად" მონათლა და დაემუქრა მათრახითა და შტიკებით: „მთავრობა ყაზახ-რუსებს დაგისევთ, აგაწიოკებთ, დაგაოხრებთ, ცოლ-შვილს გაგიუპატიურებთ! რატომ ჩვენ, თქვენი კეთილის მყოფელ თავად-აზნაურობას, არ დაგვეკითხენითო".

თავად ალ. გ. შერვაშიძემ სთქვა: „თავ. ანჩაბაძე ემუქრება გლეხ-კაცობას ყაზახ-რუსების მათრახებით და ხიშტებით, მე-კი ღრმად მრწამს, რომ ამ საშუალების მიმართვას სჯობია ყელში გაიყარო დანა. „ბუნტი"-კი არა, ეს მოძრაობა სასურველი მოძრაობაა და ჩვენც შეძლებისამებრ უნდა ხელი შევუწყოთ". თავ. ტატაში მარშანიაც ამ აზრს ემხრობა, თავად ზოურბეგ ძიაფშიფა: „უწინაც (რუს-ოსმალოს ომის დროს) პირველად თქვენ, აძვიბჟელებში (აძვიბჟა—სოფელია ზღვის პირად), დაიწყო მოძრაობა, რის გამოც გადაბუგულ იქმენით, დღესაც იგივე ბედი მოგელისთო"! გლეხობამ საკადრისი პასუხი მისცა თავ. თაფშ-იფას და დააჩუმა. თავად-აზნაურობამ „მამაშვილური" დარიგება მისცა გლეხობას—ა[illegible] მოძრაობის მიმხრობით თავი არ და[illegible] გარნა,—დახე ბედის უკუღმართობას!—გლეხებმა ეჭვის თვალით შეხედეს ამ დარიგებას.

მეორე მუხლის შესახებ შეთანხმდნენ და ადრესის შედგენა დაავალეს თავ. [illegible] შიძეს. ხოლო გლეხობამ გამოაცხადა, რომ თუ ვინიცობაა წარმომადგენლის გაგზავნა საჭირო იქნება, უსათუოდ ერთი გლეხიც გაიგზავნოს ჩვენის ინტერესების დასაცველად. ადრესი ჯერაც არ არის შედგენილი.

რაც შეეხება მესამე მუხლს, ერთხმად დაგმობილ იქმნა: ძარცვა-გლეჯა, [illegible] თისა და კანცელარიების გადაწვა, [illegible] ბა და კაცის კვლა. კერძოდ [illegible] ბის შესახებ დაადგინეს: რადგან ად[illegible] რესი [illegible] ხანი და თან [illegible] ოილ-ლელობის ძირის მთხრელი [illegible] აა, შეჰფიცონ ერთმანეთს, დღეის შემდეგ ყოველი ღონე იღონონ მის მოსასპობად. ვისაც დღეის შემდეგ ქურდობა დაუმტკიცდება, მას სრული ბოიკოტი გამოუცხადონ მთელს მის სიცოცხლეში. ვინც ამ ბოიკოტს დაარღვევს, [illegible] ამე კავშირს დაიჭერს ქურდთან, [illegible] ამისთანა შემთხვევაში ოცდა[illegible] მანეთი ჯარიმა გადახდეს ხევისთავს [illegible] სასარგებლოდ. ყოველმა საზოგადოებამ უკვე მიიღო ფიცი.

---

*) აფხაზეთში მესაკუთრეებად ცნობილია მხოლოდ თავად-აზნაურობა. გლეხობაში-კი საზოგადო მიწათ-მფლობელობაა.

ამით გათავდა ეს კრება. ხოლო სამურზაყანოელებმა კაცი გამოუგზავნეს აფხაზებს და აცნობეს, რომ შინაურ განხეთქილებისა გამო ჩვენ ველარ მოვახერხეთ კრებაო.

ოჩამჩირელი.

ახალი ამბავი

◆ ჩვენს გაზეთში უკვე იყო გამოცხადებული **კავკასიის ნამესტნიკის მოწოდება** კავკასიის ხალხის მიმართ. ნამესტნიკის თანაშემწის გენერალ მალამას განკარგულებით, ეს მოწოდება დაიბეჭდა ქართულსა, რუსულსა, სომხურსა და თათრულს ენაზე და დაეგზავნა კავკასიის გუბერნატორებს ხალხთა შორის გასავრცელებლად.

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ იმიერ-კასპიის მხრიდან უნდა **ჩამოსულიყო სარკინისგზო ბატალიონი**. ეს ბატალიონი უკვე ჩამოვიდა 30 აპრილს. სულ ჩამოვიდა 400 ჯარის კაცი და 9 აფიცერი. ჯარის კაცები ყველანი რკინის გზის საქმის სპეციალისტები აღმოჩნდნენ. წინად ხმა იყო, რომ ბატალიონი სამუდამოდ დაბანაკდება ალექსანდრეპოლშიო, მაგრამ ეს ამბავი მართალი არ გამოდგა.

◆ კვირას, 8 მაისს, კავკასიაში ბეჭდვითი სიტყვის მოღვაწეთა ურთ-ერთ დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ **გაიმართება დიდად საინტერესო სალიტერატურო და სამუსიკო დილა**. მონაწილეობას იღებენ ცნობილი არტისტები და მწერლები: ქ-ნი პაპაიანი, ბ-ნნი დონსკოი, თავ. ბარიატინსკი (დრამატურგი), გორევი და სხვები. დილა გაიმართება შილერის გარდაცვალებიდან ასი წლის შესრულების სახსოვრად.

◆ როგორც „კავკ". გადმოგვცემს, საქართველოს საექსარხოსო სამრევლო-საეკკლესიო სკოლების საოლქო ზედამხედველს დეკანოზ **ვოსტორგოვს ახალ თანამდებობას** აძლევენ—რუსის სასულიერო მისიის უფროსობას ათონში.

◆ როგორც **შიდა რუსეთიდან გადმოსახლებულთა** დამხმარებელ საზოგადოების ანგარიშიდანა სჩანს, 1903 წლის განმავლობაში საზოგადოებას ჰყოლია სულ 395 წევრი. სხვათა შორის, საზოგადოების წევრებად ითვლებიან: ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დავ. ზაქ. მელიქიშვილი, ი. ს. ღულაძე, ნ. ი. ნიკოლაძე, ალავერდის ეპისკოპოსი ევთიმე, ივ. ნ. მაჭავარიანი, ივ. ევდ. გამყრელიძე, ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავმჯდომარე თავ. ს. ნიკ. [illegible], დ. ან. [illegible], სპ. ბ. [illegible], თავ. დ. ოტ. [illegible], თავ. პ. გ. წულუკიძე, კნ. ევგენია ალ. [illegible] ნიძისა, ნიკ. დ. მაჭავარიანი და სხვ.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურების უფროსები თვითონ წარმოადგენდნენ ხოლმე **მეისრეებს, ვაგონის გადამბმელებს და სხვა ამ გვარ წვრილ** მოსამსახურეებს სამსახურში ჩასარიცხად. ეხლა მიმოსვლის უფროსმა განკარგულება მოახდინა მთელს ლიანდაგის სადგურებზე, რომ, როცა მეისრეების და ვაგონების გადამბმელების ადგილი გამოჩნდეს, მე შემატყობინეთო.

◆ როგორც „მშაკი" გადმოგვცემს, სომეხ-გრიგორიანთა საეპარქიო უფროსის ნებართვით, ვანქის კონსისტორიაში 27 აპრილს მომხდარა **ტფილისის სომხის სამღვდელოების კრება**. თავმჯდომარემ კრების დაწყებისას განაცხადა, რომ დღითი-დღე მღვდელსა და მრევლს შორის ურთიერთობა მწვავდება, მღვდლებმა დაჰკარგეს ხალხის თვალში პატივის ცემა და უნდა მივიღოთ საჭირო ზომებიო. კრებამ აარჩია კომისია და იმას დაავალა ამ საქმის ყოველ მხრივ განხილვა და გამორკვევა.

◆ ერევნის მაზრაში სომხის სოფლის კალალეის და თათრის სოფლის ხაჩაპარის მცხოვრებთ **შეტაკება მოსვლიათ სადავო მიწის გამო.** 20 აპრილს ხაჩაპარის თათრებს დაუწყიათ ხვნა ამ სადაო ადგილისა. ამავე დროს მისულა 19 სომეხი. ამტყდარა სროლა, რომლის დროსაც თათრების მხრივ მოუკლავთ ერთი და დაუჭრიათ ორი; სომხების მხრივ დაუჭრიათ მხოლოდ ერთი. სროლაზე მისულან პოლიციის დარაჯნი ალექსი ჩაჩიშკინი და ივანე მანუკოვი. თათრებს, როგორც „კავ." სწერს, პოლიციელნი ჩაუტყუებიათ საფარში, მოუკლავთ მანუკოვი და დაუჭრიათ ჩაჩიშკინი. მოკლულისთვის აუცლი[illegible] თოფი და 60 პატრონი.

◆ ტფ. მეეტლ[illegible] ხლისმა განცხადება წარუდგინა [illegible] ქის მოურავს. მამასახლისი სწე[illegible] მეეტლეებს ხელმეორედ გვქონ[illegible] და რადგან 5 მაისს გაფიცვა უხე[illegible] ნით, ამიტომ ჩვენი გადაწყვეტ[illegible] შევცვალეთ და დავადგინეთ ნამესტნიკს პატივით მივეგებოთ; ამასთან ჩვენს მოთხოვნილებებს პირდაპირ ნამესტნიკს წარვუდგენთო. გუშინ, 4 მაისს, ტფილისის პოლიცმეისტერმა უბრძანა ბოქაულებს აიძულონ მეეტლეები უსათუოდ გამოვიდნენ სამუშაოდ.

◆ 29 აპრილს, ტფილისის **სასულიერო სემინარიაში ეგზამენები უკვე დამთავრებულა.** ყველა მოწაფეები გადაუყვანიათ, გარდა ერთისა. ამ გადასულების რიცხვში 11 ქართველია.

◆ ტფილისის დედათა **საეპარქიო სასწავლებელში** უფროსს კლასის მოსწავლე ქალებს 30 აპრილს გაუთავდათ ეგზემენები. 2 მაისს აქტი გაიმართა. კურსი დაამთავრა მხოლოთ თერთმეტმა ქალმა, მათში სამი რუსია და რვა ქართველი.

◆ მოულოდნელად **დიდ-ძალი კალია გაჩნდა** სადგურებს დოლარის, დალმამეტლის, გერანის და მინგეჩაურის მახლობლად მდებარე სოფლებში. განჯის გუბერნატორის თხოვნით ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ დაუყოვნებლივ ბაქოდან მომავალ [illegible] მატარებლებს ამ ოთხ სადგურზე [illegible] თითო ვაგონი ნავთი და კალი[illegible] ლველად მცხოვრებთ მიჰყი[illegible] 10 კაპ.

◆ „მირის" ფაბრიკის [illegible] ცვა მათის გამარჯვებით გათავდა. ეს რამოდენიმე დღეა, რაც ფაბრიკაში მუშაობა განახლდა.

◆ **ქალაქ სიღნაღში** ახალ რწმუნებულთა არჩევანები დაინიშნა 25 ივლისისთვის.

◆ ქალაქის ქუჩების კამნათებელს, აგენტს ლალაიანცს გამგეობისათვის შეუტყობინებია, რომ მუშათა ზედამხედველი გიორგი ჩიტაშვილი ლოთობს, გარყვნილებას ეწევა და სამსახურიდან დაითხოვეთო. ჩიტაშვილი მართლაც სამსახურიდან დაითხოვეს და ეს 8 თვეა ვერსად ადგილი ვერ უშოვნია. ჩიტაშვილს ლალაიანცი შეურაცხების მიყენებისათვის პასუხის გებაში მიუცია. მომრიგებელ მოსამართლესთან ლალაიანცს ჩიტაშვილის გარყვნილება ვერ დაუმტკიცებია და მოსამართლეს ლალაიანცი დაუჯარიმებია. ჩიტაშვილმა ქალაქის გამგეობას რამდენჯერმე სთხოვა, მართალი ვარ და გთხოვთ ისევ სამსახურში მიმიღოთო. ჩიტაშვილმა ამ ბოლო დროს საბჭოს სახელზე შეიტანა განცხადება.

◆ ზუგდიდის მაზრაში გაუგზავნიათ რაზმი, ხოპერის პოლკის პოდესაულის შევჩენკოს უფროსობით. 20 აპრილს რაზმს შეუპყრია, როგორც „კავ." სწერს, ბოროტ-მოქმედთა მეთაური გუჯა მისაფიშვილი.

◆ გუშინ, 4 მაისს, პეტერბურგიდან ბძანება მოვიდა, რომ ტფილისის მიწის მზომელთა სასწავლებელში სწავლა შესწყდეს.

◆ ტფილისის მოქალაქეთა გამგეობის კანცელარიის მოხელეებმა გადასწყვიტეს თავიანთ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შეიმუშაონ მოთხოვნილებანი. მოხელეთ განზრახვა აქვთ შემოიღონ საამხანაგო სასამართლო. სასამართლოს დაუკითხავად მოხელეთა დათხოვნას ნება არ ექნება არავის.

◆ ტფილისის ოლქის სასამართლოში 23 მაისისათვის განსახილველად დანიშნულია საქმე ტფ. პოლიციის უბნის ზედამხედველად ნამყოფი, ამ ჟამად ბაქოს გუბერნიაში ბალახანის პოლიცმეისტერის თანაშემწედ გადაყვანილის კონსტანტინე მონასტირსკისა, რომელსაც ჰბრალდება უდანაშაულოდ ქუჩაში ვაჟთა მეორე გიმნაზიის მოწაფეების დაპატიმრება და ცემა.

◆ ოლგას ქუჩაზე, დილის შვიდნახევარ საათზე, ტრამვაის მომავალ ვაგონზე ასვლას აპირებდა ნიკოლოზ მაისურაძის შვილი 8 წლისა, მაგრამ ვაგონ ქვეშ ჩავარდა და გაისრისა.

◆ პოლიციის მე-6 ნაწილში, ვორონცოვის ქუჩაზე, ადამ ედილოვს და გიორგი ბაღდასოვს ჩხუბი მოსვლიათ, რომლის დრო აც პირველს მეორე მუცელში დაუჭრია. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

◆ ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ წარსულ კვირას ქ. ახალქალაქში განიხილა საქმე ახალქალაქის მცხოვრებთა საქალაქო სკოლის [illegible] ს-წავლებად ნამყოფების მარკოზ [illegible] ავეტისოვის [illegible] შაკ აბაჯევისა, რომელთაც ახალქალაქის საქალაქო სასწავლებლის შენობის დაწვა ჰბრალდებოდათ. სასამართლომ გაამართლა ბრალდებულნი.

◆ 2[illegible], დილის 10 საათზე, ტფილსის სადგურზე მო[illegible] და შემდეგი ამბავი: რკინის გზის საელოსნოების ყოფილი დარაჯი თედორე ილარიონოვი აპირობდა გაქანებულ მატარებელზე შეხტომას, მაგრამ ვაგონს ქვეშ მოჰყვა. ვაგონმა ორივე ფეხი მოსწყვიტა. დაშავებული წაიყვანეს რკინის გზის საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვალა

◆ პოლიციის 1 ნაწილში, [illegible] ცებს მოპარეს(?) [illegible] სახლში მცხოვრებ ვაჭრის მიხეილ ყარაბეგოვის ბინა[illegible] 1200 მან. ნივთები. ქურდების ვინა[illegible]

◆ [illegible] ნდაგის მეორე მხარეს, ესრედ [illegible] გუშინ, 4 მაის, ნახეს გვამი [illegible] კაცისა. მოკლულის ჯიბეში აღმოაჩნდა [illegible] და გვერდზე რკინის კეტი. როგორც ეტყობა, მოკლული ქურდი უნდა ყოფილიყო. ტომით მოკლული სომეხია.

◆ ტფილისის ქალაქის ელექტრონის სადგურის ამშენებელ კომისიას დაუდგენია შეიძინოს 400 ოთხ. კუთ. საჭენი ადგილი გამგეობის წევრის ენფიანჯიანცის ძეულლისაგან, კონტროლის პალატის გვერდით.

შეცდომის გასწორება. საბჭოს ანგარიშში ნაძალადევველთა შუამდგომლობის გამო „ცნ. ფურც." მე-2811 №-ში შეცდომა შეგვეპარა. სწერია: „რადგანაც საქალაქო დებულებით ამ საქმის გადასაწყვეტად საჭიროა დამსწრე ხმოსანთა 1/3 თანხმობა, ამიტომ საქმე ისევ გადაუწყვეტელი დარჩა და კენჭს მეორედ უყრიან შემდეგ კრებაზეო". უნდა იყოს: საბჭომ ნაძალადევის და ლოტკის გორის მცხოვრებთა შუამდგომლობა მიწების საკუთრად შესყიდვის შესახებ უარჰყო.

ქუთაისის საურთი-ერთო ნდობის ბანკის კრება

1 მაისი

პირველ მაისს უფრო მეტმა საზოგადოებამ მოიყარა თავი ბანკის დარბაზში, ვიდრე პირველ კრებაზე იყო.

კრება დანიშნული იყო დილის ათი საათისთვის, დაიწყო თერთმეტის ნახევარზე იმავ დ. კვირკველიას თავმჯდომარეობით. დაიწყო თუ არა კრება, ა. კრინიცკიმ განაცხადა, რომ ცოტა ხნით მოვიცადოთ, აქ არ არიან არც ერთი მათგანი, ჩვენ რომ სამართალში გვინდა მივცეთო—ძველის გამგეობისა და საბჭოს წევრნიო. იქნება მათგან ვინმემ გასამართლებელი საბუთი სთქვასო. ბევრი უარზეა, ჩვენ არც მოცდის თავი და არც დრო გვაქვსო. კრება ათს საათზედ იყო დანიშნული, ახლა თერთმეტი სრულდება და თუ კი თავის გასამართლებელი რამ ჰქონდეთ, მოვიდოდნენ და იტყოდნენ—ვერ ვუცდით, ვერ ვუცდითო—შეიქმნა ხრიალი. სიმონ ქეიშვილმა განაცხადა, გუშინ წინ კრებაზე აქ მე გამლანძღა ბ-მა გ. ბერძენიშვილმა სრულიად უმართლოდ. ყველამ გაიგონეთ, ხომ ბატონებო, რა შეურაცხყოფა მომაყენაო. დავადგინოთ, რომ ბ-ნი გ. ბერძენიშვილი გამოვრიცხოთ წევრთა რიცხვიდანაო...

მოვიდა ძველი გამგეობის ერთი წევრი კ. ლორთქიფანიძე, ითხოვა სიტყვა და ილაპარაკა რევიზიის ოქმის ცალმხრივობაზე, დაუსაბუთებლობაზე, მაგრამ ასეთი განმარტება არ ეპეშმარიტა ბევრს და ასტყდა კიდევ ჩოჩქოლი. კირილეს არ დააცალეს ლაპარაკი და წარმოადგინა მეორე. წევრის, პ. თუმანიშვილის დაწერილი ქაღალდი, რევიზიის ოქმის პასუხად. თითონ თუმანიშვილი ავად არის და მე მომანდო ამ ქაღალდის წარმოდგენაო. სთხოვა თავმჯდომარეს წაეკითხოს კრებას ეს ქაღალდიო. ამაზედ დიდი ალიაქოთი ასტყდა. სადა გვაქვს ჩვენ დრო აქ ვიკითხოთ მთელი ეპისტოლეებიო... მიანდო თუ არა ბ-ნს კირილეს ამ ქაღალდის წარმოდგენა ბ-ნმა თუმანიშვილმა, ჩვენ არ ვიცითო. სადა აქვს ამის ვექილობაო... რატომ თითონ არ მობრძანდაო, თუ კი რევიზიის ოქმის გადაკითხვა შეიძლო და ამოდენა პასუხის დაწერა, აქ მოსვლა ველარ შესძლოო და სხვა ამისთანები. დ. ნიჟარაძეს ძალიან უკვირს, რომ თავის გამართლების სალსარს ვუსპობთ ძველ გამგეობის წევრებს. ქვეყანა სიტყვის, წერის თავისუფლებაზე ლაღადებს და ჩვენ აქ გასამართლებელ სიტყვის ნებას არ ვაძლევთ ბრალდებულთაო... მაგრამ პ. თუმანიშვილის ქაღალდის წაკითხვაზე კიდევ უარს ამბობენ და ყვირიან. ორი-სამი ხმა კი მოისმის წავიკითხოთო, მაგრამ უმეტესობა —არ გვინდა, არ გვინდაო—ღრიალებს. ბოლოს თავმჯდომარემ მიმართა კრებას [illegible] წაეკითხა [illegible] ქაღალდის წაკითხვისა, რას ვუფრთხითო.—წავიკითხოთ, წავიკითხოთო!

წაიკითხეს. წერილში მოყვანილი საბუთები ვერ სცნეს საბუთებად, ნახევარს ყურიც არ უგდია და უყურადღებოდ ასტოვეს წერილის ბოლოს მოყვანილი [illegible] თუმანიშვილისა, რომ კრება გა[illegible] და შეაძლებინონ თავის გამარ[illegible] ისა და უეჭველ საბუთების წარმოდგენა. კრების გადადება რა საჭიროა, ცვარიანი გრძელი ეპისტოლე შეუდგენია თუმანიშვილს, სხვებიც აქ ბრძანდებიან და იმართლონ თავი. მაგრამ რა იმართლიან, რით უნდა იმაუთლონო... დაგვიღუპეს ბანკი. სისხლის სამართალში ყველა! დადგით ყუთი! კენჭი ვუყაროთ, კენჭი—მივცეთ თუ არა სისხლის სამართალში ძველი გამგეობისა და საბჭოს წევრები. დ. ბაქრაძემ კაი ხანს ილაპარაკა და რომ შეტყეს კიდე აგრძელებდა სიტყვას, მო-

ჩამორთვეს, ესრედ წოდებული სახელმწიფო მიწები შეინახეს რუსეთიდან გადმოსახლებულ გლეხებისთვის, იჯარითაც არ აძლევდნენ ჩვენებს, შემოიღეს საპოლიციო დარაჯთა რაზმები, რომელთაც სამ მილიონამდე მანეთი ფული უნდება; ადგილ-მამულს უზომო გადასახადი დაედო.

წითელი სიცილი

ან. ჩეხოვის სახსოვრად

ნარკვევი ნაპოვნ ხელთნაწერიდან.

ნარკვევი მეჩვიდმეტე.

—ქალაქში რაღაცა ყდეტია. რა გაუგებარი და საშინელი ხმებია.....

ნარკვევი მეთვრამეტე.

დღეს დილით ვკითხულობდი დაუსრულებელ დახოცილთა სიას: შე[illegible] ნობა გვარი: მოუკლავთ ჩემი დის საქმრო, აფიცერი, გაწვეული სამხედრო სამსახურში განსვენებულ ძმასთან ერთათ. ერთი საათის შემდეგ-კი ფოშტალიონმა გადმომცა წერილი ძმის სახელობაზედ და წარწერაზედ ვიცანი ხელი მოკლულისა: მკვდარი სწერდა მკვდარს. ეს მაინც უკეთესია იმ შემთხვევაზედ, როცა მკვდარი სწერს ცოცხალს: მე მაჩვენეს დედა, რომელსაც მოსდიოდა წერილები შვილისაგან მთელი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მან ამოიკითხა გაზეთებში მისი საშინელი სიკვდილის ამბავი—ის გაგლიჯა აფეთქებულ ყუმბარას. ის იყო ნაზი შვილი და ყოველ[illegible] მისი წერილი იყო აღსავსე ალერსის სიტყვებით, ნუგეშით, ნორჩი და გულწრფელი იმედით მომავალ ბედნიერებისა. ის უკვე მკვდარი იყო და ყოველ დღე აუწერელის სიფაქიზით იწერებოდა სიცოცხლეზედ; ამ ამბავმა დედა მისი გადააჯერა მის სიკვდილს—და როდესაც გავიდა ერთი დღე უწერილოთ, მეორე, მესამე და დადგა დაუსრულებელი სიჩუმე სიკვდილისა, მან აიღო ორივე ხელით დიდი, ძველი დამბაჩა შვილისა და დაიცა გულში. მგონია, ცოცხალი გადარჩა არ ვიცი, არ გამიგია.

მე დიდხანს ვშინჯავდი წერილს და ვფიქრობდი: მას ეჭირა იგი ხელში, სადაც იყიდა ეს—მისცა ფული და მოსამსახურემ იყიდა სადმე დუქანში, მან დაბეჭდა და მერე, გონიერის, იქნება თვით ჩააგდო ფოშტის ყუთში, ამოძრავდა თვალი იმ რთულ მექანიზმისა, რომელსაც ჰქვიან ფოშტა, და წერილმა გასცურა ტყეებს, მინდვრებს და ქალაქებს ახლო, გადადიოდა ხელიდან ხელში, და დაუღონებლივ მიისწრაფოდა თავის მიზნისკენ. მან ჩაიცვა ფეხთ წაღები იმ უკანასკნელ დილას და წერილი-კი სულ მისცურავდა; იგი ჩააგდეს ორ[illegible]

[illegible]

იგი ხელში.

[illegible] ა შინაარსი წერილისა. იგი დაწერილია ფანქრით ნაფლეთზედ და არ არის დათავებული —რაღაცას შეუშლია ხელი.

....„მართო ეხლა შევიგნე მე დიდებული სიხარული ომისა, ეს უძველესი პირვანდელი სიტკბოება ხოცვისა—ჭკვიან, ეშმაკ, ფიცხლ როგორც ხალხისა, რომლების სიკვდილის სიამოვნებაც ბევრით აღემატება თვით გარეულ ნადირებისას. სიცოცხლის მოსპობა—ეს ისეთი კარგი რამ არის, როგორც დაუნ-ტენისი *) [illegible] ვარსკვლავებით. საწყალო მეგობარო, [illegible] ლები, რომ შენ ჩვენთან არა ხარ და [illegible] ყოფნა მაგ აყროლებულ ყოველ დღიურ [illegible] სიკვდილის სუნით მოცულ ჭაერში შენ [illegible] მას, რისკენაც მიისწრაფოდა შენი [illegible] შენის მოუსვენარ, პატიოსნურის გულით. [illegible] ოფი—ამ ცოტაოდენ გაძაბუნებულ [illegible] იმალება თვით სინამდვილე. ჩვენ [illegible] გვადგას სისხლის მორევი და [illegible] ის ამ წითელი ღვინისაკენ—რო[illegible] უმრობით ამას ჩემი ჩინებული ძმა-ბიჭები. მტრის სისხლის სმა—სრულიადაც არ არის ტუტუცური ჩვეულება, როგორც გვგონია ჩვენ—მათ იცოდნენ რას სჩადიოდნენ".

....„ყვანჩალა ჩხავის. გესმის: ყვანჩალა ჩხავის! საიდან არიან ესენი ამდენნი? ისინი შავათ ეფინებიან ცას. ისინი სხედან ჩვენთან ერთათ, უშიშარნი, ისინი გვცილდებიან ჩვენ ყველგან—და ყოველთვის ჩვენ მათ ქვეშა ვართ მოქცეულნი, ვით შავი ქოლგის ქვეშ, ვით მოძრავ, განიერ შტოიან ხეების ქვეშ. ერთი მომიახლოვდა პირისახესთან და უნდა ჩაეკრა ნისკარტი—ალბათ, ფიქრობდა, რომ მე მკვდარი ვარ. [illegible] ყვანჩალა ჩხავის და ეს ცოტა არ იყოს [illegible] მე. საიდან არიან ესენი ამდენი?

....„გუშინ ჩვენ ამოვჟლიტეთ მძინარენი. გვეპარებოდით ჩუმად, ძლივს ვაბიჯებდით ფეხებს, ჩვენ მივცოცავდით ისეთის სიფრთხილით და ისე ეშმაკურათ, რომ არ შეგვინძრევია არც ერთი მძორი, არ აგვიფრთხია არც ერთი ყვავი. როგორც აჩრდილები, მივიპარებოდით და ღამე გვფარავდა ჩვენ. მე თვითონ ჩამოვითრიე დარაჯი: წავაქციე და დავახრჩე იგი ხელებით—რათა არ დაეყვირნა. გესმის: ერთბეწო ყვირილი და სულ წახდებოდა. მაგრამ მან არ დაიყვირა. ის, მგონი, ვერც-კი მიხვდა, რომ მას ჰკლავდნენ.

მათ ყველას ეძინათ ოდნავ ხმაურიან ცეცხლთან, ეძინათ წყნარათ, როგორც სახლში, თავიანთ ლოგინებში. ჩვენ ვჟლიტეთ მათ მთელი საათი და მხოლოდ ერთმა-ორმა მო[illegible] გამოღვიძება. წივოდნენ და, რასაკვირ[illegible], ითხოვდნენ შებრალებას. იკბინებოდნენ. [illegible] მომაკვნიტა თითი მარცხენა ხელზედ [illegible] ძლივსაც მეჭირა ერთ-ერთის თავი. მა[illegible] მაკვნიტა თითი და მე სამაგიეროთ მოვუჭ[illegible] მას თავი—როგორა გგონია, გავსწორდით თუ არა? როგორ ვერ გაიღვიძეს ყველამ! ისმოდა ძვლების ხრაშუნი და ხორცის გეჯვა. მერე გავძარცვეთ მათ ტანისამოსი და განვიყავით სამოსელი მათი. მეგობარო, ნუ გეწყინება ჩემი ხუმრობა. შენ გეგონება, რომ ეს თარეშობას წააგავს, მაგრამ ჩვენ თვით რომ სულ ტიტვლები ვართ, მთლად შამოგვეფლითა ტანსაცმელი. მე რამოდენა ხანია ვატარებ რაღაც გოგოს საცმელს და უფრო ვგევარ... ვიდრე აფიცერს ძლევა-მოსილ ჯარისას.

შენ, მგონაა, ცოლიანი ხარ და არ შეგშვენის ამასთანა წერილების მიღება, მაგრამ.... შენ გეყურება? ქალები. ეს ოხერი, მე ახალგაზდა ვარ და მწყურის სიყვარული. მოითმინე—ეს შენა გყვანდა საცოლე? შენ მიჩვენებდი რაღაცა ქალის სურათს და მეუბნებოდი, რომ ეს შენი საცოლეა, და ზედ ეწერა რაღაც ისეთი ხალვლიანი, ისეთი ნაღვლიანი, ისეთი დარდია სავსე და სტიროდი შენ. დიდი ხანია მას შემდეგ და ოდნავ მახსოვს. რა დროს ნაზობაა ომში. დასტიროდი. რაზედ სტიროდი? რა ეწერა იქ—ისეთი ნაღვლიანი, აღსავსე დარდით, ვით ყვავილი. და სტიროდი შენ—სულ ტიროდი—სტიროდი... როგორ არ რცხვენის აფიცერს ტირილი"!

....„ყვანჩალა ჩხავის. გესმის, მეგობარო: ყვანჩალა ჩხავის. რა უნდა მას"?

ნაწერი წაშლილიყო, ისე რომ მისი გარჩევა შეუძლებელი იყო.

საკვირველია: არავითარი სიბრალული არ გამოიწვია ჩემში დაღუპულმა. მე ნათლათ მქონდა წარმოდგენილი მისი სახე, რომელიც იყო ისეთი ნაზი, ვით ქალისა. მას უყვარდა წიგნები, ყვავილები და მუზიკა, ეშინოდა ყოველივე [illegible] ლანქისა და სწერდა ლექსებს.—ძმა, როგორც [illegible] იტიკოსი, გვარწმუნებდა, რომ ძლიერ კარგი [illegible] ქსებიაო. და ყოველივე ის, რაც მე ვიცოდი [illegible] შესახებ, მე ვერ შემესაბამებინა ვერც ეს [illegible] ყვანჩალა, ვერც სისხლის ღვრა, ვერც სიკვდილი.

.....ყვანჩალა ჩხავის.....

და ერთბაშათ ერთ უგუნურ გამოუთქმელ ბედნიერს წუთს მე ნათლათ მეჩვენა, რომ ყოველისფერი ეს ტყუილია და არავითარი ომი არ არის. არ არიან არც დახოცილნი და არც მკვდარ[illegible]—არც ეს საშინელება შეძრულ აზრისა. მე მძინავს პირქვემა და მესიზმრება საშინელი სიზმარი, როგორც სიყმაწვილეში: ეს გაჩუმებული ოთახები, განადგურებული სიკვდილისაგან და შიშისაგან, მეც თვით რაღაცა წერილით ხელში. ძმა ცოცხალია და ისინი ყველანი სხედან და სვამენ ჩაის, მოისმის ჭურჭლის წკრიალი.

.....ყვანჩალა ჩხავის.....

არა, ეს მართალია. საცოდავო დედა მიწავ, ეს ხომ მართალია! ყვანჩალა ჩხავის. ეს არ არის გამოგონება უსაქმო მწერლისა, უგუნურისა, რომელსაც დაჰკარგვია გონება. ყვანჩალა ჩხავის. სად არის ჩემი ძმა? ის იყო წყნარი და პატიოსანი, არავისათვის არა სურდა ბოროტი. სად არის? მე თქვენა გკითხავთ, დაწყევლილნო მკვლელებო! მთელი ქვეყნის წინაშე გკითხავთ მე თქვენ, დაწყევლილნო მკვლელნო, ყვანჩალა, მჯდომარე ლეშზედ, უბედურნო გონება მოკლულნო ნადირნო. თქვენ ნადირები ხართ. რაზედ მოჰკალით ჩემი ძმა? პირი-სახე რომ გქონდეთ თქვენ, სილას გაგაწნავდით, მაგრამ თქვენ არა გაქვთ პირისახე, თქვენა გაქვთ მარტოოდენ დინგი გარეული ნადირებისა. თქვენ იკატუნებთ თავს ადამიანებათ, მაგრამ ხელთათმანებიდან გამოსჩანს ბრჭყალები, ქუდიდან—ჩაჭეჭყილი კენჩხა ნადირისა; თქვენ ჭკვიანურ სიტყვებში მე მესმის ჩამალული უგუნურება, ჩხრიალი დაჟანგებული ჯაჭვებისა. და მთელის ძლიერებით ჩემის ნაღვლისა, ჩემის დარდისა, ჩემის შერცხვენილ აზრებისა—მე გწყევლით თქვენ საცოდავნო, ჭკუა-მოკლე ნადირებო!

ი. ხირსელი

(შემდეგი იქნება)

---

*) [illegible] ბურთის თამაში.

უპრეს—არ გვცალია, ყუთი, ყუთიო! მ. დარახველიძე, დ. ლორთქიფანიძე და სხვანიც იმ აზრისანი იყვნენ, რომ სისხლის სამართალში მიცემა ძველი გამგეობისა და საბჭოს წევრებისა თითონ ბანკსავნებს, არ არის საჭირო მივიღოთ სარევიზიო კომისიის აზრი და სამოქალაქო წესით დავუწყოთ საქმეო.

ახლანდელ გამგეობის თავმჯდომარე თავ. ს. ლორთქიფანიძეც ამავე აზრს შეუერთდა. ბანკის საქმეები არც ისე ცუდად არის, ზარალი არც ისე დიდია, როგორც ამას აზვიადებენ, ნელ-ნელა ვასწორებთ საქმეს და თუ მაინც და მაინცა კიდევ დაიჟინებთ, რომ სისხლის სამართალში მისცეთ ძველი გამგენი ამ ჩვენის ბანკისა, მე იძულებული გავხდები დავტოვო ეს ადგილიო. ერთ ხანს სახტად დარჩა კრება ამ განცხადების გამო, მაგრამ მალე მოიბრუნა გული. ასტყდა კიდევ ჩოჩქოლი. ვიშოვნით კაცსო. თუ წავალთ, მაინცა და მაინც, კაცი აღარ გვეშოვნება თუ... მაგით ნუ გვაშინებთ ტყვილაო... და სხვა ამ გვარი სიტყვები და ძახილი გაისმა დარბაზში. კენჭი! კენჭი!

დადვეს ყუთი. ას-თხუთმეტის ხმით ორმოცდა უქვსის წინააღმდეგ კრებამ დაადგინა, სისხლის სამართალში მისცეს ქუთაისის საურთი-ერთო ნდობის ბანკის გამგეობის და საბჭოს ყოფილი წევრნი.

რუსეთის ქრონიკა

პრესის მდგომარეობის შემსუბუქება. შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადება შეუტანია სახელმწიფო საბჭოში, რომ მოისპოს საცენზურო წესდების ის მუხლი, რომლის ძალით გაზეთი ან ჟურნალი გამომცემელი გამოაცხადებულ ცუდ მიმართულებისათვის მაშინვე შეიძლება დაიხუროს შინაგან საქმეთა, იუსტიციის, ფინანსების მინისტრებისა და ობერ-პროკურორის შეთანხმებით. ამის მაგიერ შინაგან საქმეთა მინისტრს უნდა მიენიჭოს უფლება თავის შეხედულებისამებრ შეაჩეროს გამოცემა; საბოლოო დახურვა კი სენატმა უნდა გადასწყვიტოს.

გაზეთი „რუს"-ი, რომელიც იტყობინება ამ ამბავს, ამტკიცებს, რომ ეს წინადადება პირდაპირ ეწინააღმდეგება 12 დეკემბრის უმაღლესს ბრძანებას; ამ ბრძანებაში სასურველად არის ცნობილი, რომ პრესსა განთავისუფლებულ იქნას ზედ-მეტ შევიწროვებისაგან, შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადებით-კი ამ ზედ-მეტ შევიწროებისაგან უნდა განთავისუფლდეს ადმინისტრაცია და არა პრესსა.

ებრაელების დაწიოკება ჟიტომირში. „პრავიტ. ვესტნიკ"-ში დაბეჭდილია: „24-სა და 25 აპრილს ქ. ჟიტომირში შეტაკება მოხდა გლეხებსა და ებრაელებ შორის; ორ-ივე მხარეს არის დაჭრილები და მოკლულები (სხვა გაზეთების ცნობებით ორმოცზე მეტია მოკლული). ამ შეტაკების წინ მოხდა შემდეგი ამბები: 1. 8 აპრილს სამასამდე ებრაელი შეიკრიბა ქალაქ გარედ ტყეში და სროლაში ვარჯიშობდნენ; სხვათა შორის, გაბედეს ესროლათ რევოლვერი ხელმწიფის სურათისათვის. როცა გლეხებმა პროტესტი გამოაცხადეს, ებრაელებმა უპასუხეს—მალე გლეხების მმართველები ვიქნებით და იმიტომ ვვარჯიშობთო. 2. ქუჩაში მიმავალმა ებრაელმა სრულიად უმიზეზოდ სახეში გაარტყა 14 წლის ქრისტიან ბავშვს; ამანაც თავის მხრივ ჯიბის დანით დასჭრა ებრაელი. მაშინვე შეიკრიბნენ ებრაელები და ჯიდის ამბით დაუწყეს ძებნა იმ ბავშვს; პოლიციამ ძლივს მოახერხა ბრბოს გაფანტვა. 3. საპატიმროდან მოჰყავდათ პოლიტიკური დამნაშავე ებრაელები; შეგროვდა ხალხი, ლანძღავდა და აგინებდა პოლიციას და თან შეურაცხმყოფელ სიტყვებს ამბობდნენ ხელმწიფე იმპერატორის წინდა პიროვნებაზე; 4. ერთი გლეხი შევიდა ებრაელის ეზოში; სახლის პატრონი და მისი ცოლი მივარდნენ გლეხს, დაუწყეს ლანძღვა და ლაფის სროლა. ხმაურობაზე მიცვივდნენ მეზობელი ებრაელები და ცემა დაუპირეს გლეხს. საქმეში ჩაერივნენ რუსის გლეხებიც და ბოლოს პოლიცია ჩაერია საქმეში. ებრაელები ჰყვიროდნენ, გლეხები მოგვიცვივდნენ და აკლებას გვიპირებდნენო. 5. ერთის რუსის მაღაზიაში შეცვივდნენ ებრაელები, სცემეს პატრონს, ფანჯრები დაუმტვრიეს და თან თხოულობდნენ—დაკეტე დუქანიო. ეგრევე მოუვიდა ერთ ზეინკალს...

ამასთანავე 12 აპრილს ჟიტომირში გაავრცელეს პროკლამაცია, „სოციალისტ-რევოლიუციონერების ვოლინის კომიტეტის" გამოცემული; პროკლამაციაში, სხვათა შორის, ეწერა—ჟიტომირში ებრაელების დაწიოკება მზადდება და ამის პასუხის მგებელი ადგილობრივი ადმინისტრაციაა, რომელიც ვითომ აღელვებდა მცხოვრებთა ერთ ნაწილს მეორის წინააღმდეგ".

„რუსკოე სლოვო"-ს სწერენ ამავე დაწიოკების გამო სულ სხვა გვარად: „არეულობა დაიწყო ებრაელის ტრაქტირის აკლებით დ. ვოლკაში; ტრაქტირის ამკლებლებმავე გამოიწვიეს საჩხუბრად ებრაელები, რომელნიც წყალზე დასეირნობდნენ ნავით. ებრაელებს რევოლვერები აღმოაჩნდათ და რამდენიმე ქრისტიანი დაიჭრა, ეს მოხდა 23 აპრილს. იმ ხმამ, რომ ქრისტიანებს სცემენო, დიდძალი ხალხი შეჰკრიბა ალექსანდრეს ქუჩაზე; ხელი-ხელ შეტაკებამდე ხალხი არ მიუშვეს, მაგრამ 15—20 ნაბიჯიდან ებრაელები და ქრისტიანები ქვებსა და რევოლვერებს ესროდნენ ერთმანეთს. ქალაქის რამდენიმე ადგილს აიკლეს ებრაელების სახლები. საზოგადოდ ძარცვაგლეჯა ცოტა იყო. ადგილობრივ მოვიდა ვიცე-გუბერნატორი, რომელსაც ებრაელები მტრულად შეხვდნენ. ჟიტომირის მთელი გარნიზონი შეიქნა საჭირო წესიერების აღსადგენად. დაჭერილია 40-მდე ქრისტიანი, რომელნიც აკლებას ხელმძღვანელობდნენ. მოკლულია 18 ებრაელი და 2 ქრისტიანი; დაჭრილია 46 ებრაელი. უწესოება შესწყდა; მაგრამ დიდი შიშიანობაა, განსაკუთრებით მაზრაში: ებრაელები შემოგვესევიანო და გლეხებს აღარ სძინავთ ღამ-ღამე და, ფიწალითა და ნაჯახით შეიარაღებულნი, ელოდებიან თავდასხმას. დაბა ტროიანოვოში გლეხებმა მოჰკლეს 8 ებრაელი, რომელნიც ჟიტომირში მიდიოდნენ თავიანთ თანამორწმუნეების დასახმარებლად.

საიდუმლო პოლიციის აგენტის მოკვლა. 25 აპრილს ქ. ლოძში ბრბო თავს დაესხა საიდუმლო პოლიციის აგენტს მატიაშჩუკს. მატიაშჩუკი გაიქცა, სამ-სართულიან სახლის სახურავზე ავიდა და იქიდან რევოლვერის სროლა დაუწყო ხალხს. მაგრამ ბოლოს ხალხმა მაინც ჩამოიღო ძირს და საშინლად სცემეს. მძიმედ დაშავებულის წასაყვანად ეტლი მოვიდა, მაგრამ ახლოს არ მიუშვეს და მომაკვდავ მატიაშჩუკს შეუბრალებლად ეპყრობოდნენ. დიდის ტანჯვის შემდეგ პოლიციის აგენტი მოკვდა. ამ უკანასკნელ კვირის განმავლობაში ეს მესამე აგენტია, რომ ხალხი სასტიკად სჯის. („ვარშ. დნევნიკ.").

მართლმადიდებლობიდან გადადგომა. ქალაქ ნოვო-ჩერკასკში შესდგა მთელი ჯგუფი, რომელსაც განზრახვა აქვს პროტესტანტობა მიიღოს. ფულებს აგროვებენ პასტორისა და სამღვთო-სჯულის მასწავლებლის მისაწვევად. („კ. ნ.").

ლიტველ ინტელიგენციის კრება. როგორც „რუს"-ი და სხვა გაზეთები გადმოგვცემენ, ვილნოში მომხდარა ლიტველ ინტელიგენციის კრება. კრება თხოულობს: ა) დაუყოვნებლივ შეწყვეტილ იქმნას რუსეთ-იაპონიის ომი; ბ) I. დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნას პეტერბურგში მთელ რუსეთის; სახელმწიფოსათვის დამფუძნებელი კრება; ამავე დროს მოწვეულ იქმნას დამფუძნებელი კრება ვილნოში კერძოდ ლიტვისათვის ეტნოგრაფიულ საზღვრების მიხედვით; კრებაში მონაწილეობას მიიღებენ ხალხის წარმომადგენელნი, არჩეულნი საზოგადო, თანასწორ, ფარულ და პირდაპირის კენჭის ყრით. ამის განსახორციელებლად უწინარეს ყოვლისა საჭიროა: 1. თავისუფლება სიტყვის, ბეჭდვის, კრებების; ხელ-უხლებლობა პირვნებისა და ბინისა; 2. განთავისუფლება იმ პირთა, რომელნიც ისჯებიან პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ რწმენისათვის; 3. ყოველ-გვარი უპირატესობა და განმსაზღვრელი კანონები სხვა-და-სხვა ერთა, სარწმუნოებათა და საზოგადო წრეთა შორის. II. ლიტვის მომავალ პოლიტიკურ წესწყობილების საფუძვლად მის ეტნოგრაფიულ საზღვრებში ცნობილ იქმნა: 1. ავტონომია სეიმით ვილნოში; სეიმში მონაწილეობას მიიღებენ ხალხის წარმომადგენელნი, არჩეულნი საზოგადო, თანასწორ, ფარულ და პირდაპირ კენჭის ყრით, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა; 2. თანასწორი უფლებანი ლიტვაში მცხოვრებ ყველა სარწმუნოებისა და ეროვნებისათვის; 3. ლიტვის მცხოვრებნი სამხედრო ბეგარას უნდა იხდიდნენ ლიტვის საზღვრებშივე. III. ავტონომიური ლიტვა უერთდება ფედერატიულის კავშირით, თანასწორის უფლებით, რუსეთის სახელმწიფოს ყოველ ერსა და ოლქს. ფედერატიულ კავშირში შესულ ერთა და ოლქთა შორის საურთიერთო დამოკიდებულებას, უფლებათა და ვალდებულებათ დააწესებს მათ წარმომადგენელთა მიერ შემდგარი პარლამენტი.

წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩვენთვის საჭირო წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ცნობ. ფურცელში"*: ჩვენ, სოფელ ჭალაში მცხოვრებნი ვუერთდებით სოფ. ხაშურლების დადგენილებას და ვაცხადებთ, რომ დღეიდან სრულიად ვსპობთ დღეობას 8 მაისობას (გორათობას), რომელსაც დღემდის ვიხდიდით, ვეწეოდით უზომო ხარჯს და ამით თითქმის ვალებში ვვარდებოდით. ყველა ჩვენს ნათესავებს ვსთხოვთ, ნუ გვეწვევიან ხსენებულს დღეს, რადგან არავითარი მზადება სტუმრის დასახვედრად არ გვექნება და არც არავის მოველით. ყველა ის ჩვენი მეზობელი, რომელიც ამას დაარღვევს და ხარჯს გასწევს, ჯარიმად 25 მანეთს გადაიხდის სოფლის სასარგებლოდ და სრულიად განკიცხული იქმნება ჩვენგან.

ხელს ვაწერთ: ვასო ჯაფარაშვილი, სანდრო ჯაფარაშვილი, ვანო გამგებელი, არჩილ ხაჯაველიძე, ვანო ცაბაძე, სანდრო ალაჯანაშვილი, ედადო თობაძე, აკო ხვედელიძე, სოლო გინიკაშვილი, ნიკო ჩაგანიშვილი, პეტრე ხვედელიძე, პეტრე კითაძე, ნიკოლოზ გურული.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

4 მაისი

ნაგასაკი, 3 მაისი. პოლონდიის გემი „ვილჰელმინა" იაპონელებმა სამხედრო პრიზად სცნეს.

ტოკიო, 3 მაისი. („დეილი ტელეგრაფი"). 23 აპრილს იაპონიამ მიმართა საფრანგეთს მესამე პროტესტით იმ ცნობის გამო, ვითომც ბალტიის ესკადრა ხონკოედგან გასულიყოს. ახლა დანამდვილებით იციან, რომ ესკადრა 29 აპრილს ისევ დაბრუნდა ხონკოეს. აქ იუწყებიან, გონკონგსა და სინგაპურში ზომები მიიღეს თავის დასაცველადო. ამას და ბრიტანიის ესკადრის ჩინეთის წყლებში გაჩერებას ისე უცქერენ აქ, როგორც დემონსტრაციას ინგლისის მხრივ.

პეტერბურგი, 3 მაისი. (გაგრძელება) 3. ამაგვე საფუძვლით (მუხ. მეორე) ნება ეძლევათ სამრეწველო მიზნით პოლონელებს შეიძინონ ზემოხსენებულ 9 გუბერნიებში მიწა, არა უმეტეს 60 დესეტინისა, ქალაქებსა და დაბებს გარედ; 4. გაუქმებულ იქნას 1901 წ. 27 იანვარს უმაღლესად დამტკიცებული დებულება მინისტრთა კომიტეტისა, რომელიც განსაზღვრავს კათოლიკე გლეხთა უფლებას ხსენებულ გუბერნიებში მიწის საკუთრების შეძენის შესახებ; 5. განახლებულ იქნას თავად-აზნაურთა ამორჩევითი სისტემა და მიენდოს შინაგან საქმეთა მინისტრს, რაც შეიძლება მოკლე ხანში, შეიმუშაოს და წარადგინოს სახელმწიფო საბჭოში თავისი მოსაზრებანი თავად-აზნაურთა კრებებისა და მათ წინამძღოლთა უფლებების განსაზღვრის შესახებ; 6. შემოღებულ იქნას პოლონური და ლიტვური ენები ხსენებულ ცხრა გუბერნიების სკოლებში პირველ დაწყებით საქალაქო ორ-კლასიან სასწავლებლების პროგრამებით; აგრეთვე იმ საშუალო სასწავლებლებშიაც, რომლებშიც მოსწავლეთა მეტი წილი ლიტვინები ანა პოლონელები არიან; მიენდოს სახალხო განათლების მინისტრს, ჩქარა განახორციელოს ეს განკარგულება. ამისაგან დამოუკიდებლად განხორციელებულ იქნას ხსენებულ გუბერნიებში ჩვენს მიერ დამტკიცებული დასარჩენი დებულებანი, რომელიც 12 დეკემბრის უკაზის მეშვიდე პუნქტს შესრულებას ეხებიან". ნამდვილზე მის უდიდებულესობის ხელ-მოწერილია. „ნიკოლოზი".

პოლტავა, 3 მაისი. გაიფიცნენ რკინის გზის მუშები.

ნოვოროსიისკი, 3 მაისი. 1 და მეორე მაისმა მშვიდობიანად ჩაიარეს, თუმცა დემონსტრაციები კი მოხდა.

კამენეც-პოდოლსკი, 3 მაისი. ბალტის მაზრაში გლეხებმა გაანადგურეს 1 მაისს აბამელიქ-ლაზარევის მოურავის მამული.

მინსკი, 3 მაისი. რკინის გზაში მოსამსახურეებს შეუერთდნენ გაზის ქარხნის და მასალის საწყობის მოსამსახურენი.

უფა, 3 მაისი. ქალაქის ბაღში, წარმოდგენის ანტრაქტის დროს, მძიმედ დასჭრეს რამდენიმე ტყვიით გუბერნატორი სოკოლოვსკი.—დამნაშავე მიიმალა.

ოდესა, 3 მაისი. აბრამ შტილმანს, რომელმაც ოდესის პოლიცმეისტერს ესროლა, ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს.

ლონდონი, 3 მაისი. „ტაიმს"-ი ამბობს ბალფურის მიერ წარმოთქმულ სიტყვის შესახებ, რომ თუ რუსეთს ინგლისის მეგობრობა სურს, მან უნდა იცნოს ინგლისის განსაკუთრებული ინტერესები ავღანისტანში. ინგლისი არ [illegible]

პეტერბურგი, 3 მაისი. [illegible]

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

4 მაისი

პეტერბურგი. ოფიციალური ცნობა არ მოსულა შორეულ აღმოსავლეთიდან 3 მაისს.

პარიზი. გემი „პოლინიეზი" იუწყება, ბალტიის ესკადრას სანათები გაექრო და ვარელლესა და პადარანის კონცხებს შორის იდგა შაბათსო.

შანხაი. ჩინეთის მოხელეები იუწყებიან, ჩინეთის კუნძულზე, ხაიჯუსთან, იმიტომ დაიწყო მღელვარება, რომ გერმანიის რაზმი მოვიდაო. ჩინეთის კრეისერი შანხაიდან შანტუნგის პორტში გაგზავნეს.

ტოკიო. ჩრდილოეთ კორეაში მდგომმა რუსის ჯარმა წინ წაიწია კენგეშამდე, რომელიც 80 მილის მანძილზეა, მდ. ტუმენის შესართავიდან.

3 მაისს სამხედრო მოქმედებას ჩრდილოეთ კორეაში გამოცოცხლება დაეტყო. 400 რუსი ტუმენზე გადვიდა. მოწინავე ჯარი ახლა კილჯუშია. ხშირად ამჩნევენ ხოლმე ვლადივასტოკის ნაღმოსნებს კორეის ნაპირებთან. რუსებმა გააძლიერეს თავიანთი რაზმები პოსიეტის ბუხტსა და სხვა ადგილებში.—პესკადორის კუნძულებზე იაპონელები ამზადებენ საჭირო სურსათს.

ტოკიო. შანხაიში გამოცოცხლებული მუშაობაა ბალტიის ესკადრის აღმოსავლეთის წყლებში ყოფნის გამო. რუსებმა შეიძინეს გემების დიდი რიცხვი და ერთი მათგანი უკვე გაგზავნეს 27 აპრილს კაპლის გადასარჩენად.

პარიზი. ჰონკონგიდან 26 აპრილს, რუსის 14 გემი დაუნახავთ, 24 მილის მანძილზე, კამრანის ჩრდილოეთით.

ტოკიო. იაპონიის გავლენიანი გაზეთი ამ აზრისაა საფრანგეთის მიერ ნეიტრალიტეტის დარღვევის შესახებ: ინგლის-იაპონიის კავშირს სრულებით ის არა აქვს მიზნათ, რომ სხვა სახელმწიფოებიც ჩაურიოს კონფლიქტში; პირიქით, ის აკავებს მათ. ამ უკანასკნელ დროს მეომართა რიცხვის გამრავლება გამოიწვევდა საბოლოო შეთანხმებაში მონაწილეთა მეტს რიცხვს, რაც სრულებით არ შეესაბამება იაპონიის ინტერესებს, რომელმაც ამდენი გაჭირვება განიცადა. ნეიტრალიტეტის შესახებ საკითხი, როგორც ეტყობა, წინდაწინ ჰქონია გათვალისწინებული იაპონიის მთავრობას და ამიტომ შეიძლება დამშვიდებით მოველოდოთ საქმის დაბოლოვებასო. გაიხსნა რკინის გზა ფორმოზაზე კალუნგიდან ტაიოკუმდე.

ლოძი. დაიბეჭდა პეტროკოვის გუბერნატორის განკარგულება: ვინაიდგან მინდვრებში საგაზაფხულო მუშაობა დაიწყო, ამიტომ შესაძლებლად ვცანით სხვა დროს მოიხადონ სასჯელი იმ მიწის მფლობელებმა, გლეხებმა და მუშებმა, რომელთაც გადაწყვეტილი ჰქონდათ დაპატიმრება გაძლიერებულ დაცვის დებულების წესების დარღვევისათვის.

მოსკოვი. 2 მაისს ღამით ქვებით ჩალეწეს ფანჯრები [illegible] შენობას. [illegible]

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ბ. ჯაბადარი

---

*) სულ 50 კაცია.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № (20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.) 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ., (7 ს. 27 წ.).

ერევანს და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღ. 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.) 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 9 წ. (11 ს. 7 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 ს (8 ს. 20 წ.).

შორაპნამდე. ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

პირველი საწყობი
# შეშისა
→ პ. ი. კურცხალიასი ←

ანდრეევის ქუჩა, დამოვის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პლავოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის ჩაწყენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადებულ საჟენებიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.

(90—48) გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

ფეხსაცმელი
ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,
[მ]კვდრი, კოტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,
აგრეთვე მშრალი-ფეხსაცმელები და სანდლიები. ყველა ამის შეძენა
შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში

ვთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი
რუსეთის და საზღვარ-გარეთ დამზადებული, მრავლად არის
სავაჭრო სახლის
„ლეოპოლდ ნეიშელლერ"-ის საწყობში.
ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—ნ.—24)

(60—27)